ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## კობა გვენეტაძე: „დეტალურად გაეცანით ახალ წესებს“

გვ.6



ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მოსახლეობას მიმართავს

17 აგვისტოდან

100 წიგნი

ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო




იულიუს კეისარი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ორშაბათი, 21 აგვისტო, 2017 №197 (7432) ფასი: 50 თეთრი

# პროკურორი შაიშმელაშვილი: „კახა ძნელაძის მკვლელობას მისი ცოლი, ვანდა იმნაძე, შეესწრო, რომელმაც მკვლელში მიხეილ იაშვილი ამოიცნო“

გვ.7



„ამ ეტაპისთვის შექმნილია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რომ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედება სწორედაც მიხეილ იაშვილმა ჩაიდინა“



ჯულიეტა იაშვილი: „ჩემი ქმარი, მიხეილ იაშვილი, მკვლელობის დროს სახლში იყო“

ვანდა იმნაძე: „ჩემმა ქმარმა მიხეილ იაშვილს სცემა, რადგან ის ტაქსებს ფულს სძალავდა“



## გიორგი კვირიკაშვილს პოლიტიკურ კორუფციაში ადანაშაულებენ

გვ.2



ლევან ხაბეიშვილი: „აუცილებლად მივმართავთ პროკურატურას“



## მეგი გოცირიძე: „ნეტავ დაიჭირონ სააკაშვილი!“

გვ.3





„მთელი „ოცნება“ უნდა ლოცულობდეს, უკრაინის პროკურატურამ არაფერი მიქაროს“

გვ.5



## მამუკა არეშიძე: „ტერორისტები ფურგონებზე იმიტომ გადავიდნენ, რომ უფრო იაფი უჯდებათ“

ISSN 1987-9385

გვ.4



## რამაზ საყვარელიძე: „მთლიანად მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემაზე უნდა გადავიდეთ“

# გიორგი კვირიკაშვილს პოლიტიკურ კორუფციაში ადანაშაულებენ

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს მთავრობის მეთაურ გიორგი კვირიკაშვილს პოლიტიკურ კორუფციაში ადანაშაულებენ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი ლევან ხაბეიშვილი პრემიერის წინააღმდეგ პროკურატურაშიც აპირებს განცხადების შეტანას. როგორც ხაბეიშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, ეჭვებს მთავრობის მეთაურის განკარგულება იწვევს, რომლის მიხედვითაც, 62 მუნიციპალიტეტს სასწრაფო წესით უნდა შეეძინა სათვალთვალო კამერები.

– მთავრობის განკარგულებით, 62 მუნიციპალიტეტს დაევალა კამერების შესყიდვა. კამერების შეძენა რომ დაავალეს, ამაში არანორმალური და უცნაური არაფერია. საინტერესო და საეჭვო ის არის, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს ამ კამერების შესყიდვა, – ამბობს ხაბეიშვილი.

მისი თქმით, მთავრობის განკარგულებაში, გარდა იმისა, რომ კამერების რაოდენობაა მითითებული, ფასებზეც არის საუბარი.

ხაბეიშვილის განმარტებით, საუბარია 900 კამერის შეძენაზე. ამ კამერების შესაძენად ბიუჯეტიდან 3.400.000 ლარია გამოყოფილი.

– რაოდენობა შეიძლება განსაზღვროს მთავრობამ, მაგრამ რატომ უნდა განსაზღვროს მთავრობამ, რა ფასად უნდა მოხდეს ამ კამერების შეძენა? – აღნიშნავს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი.

ხაბეიშვილისთვის საეჭვოა ისიც, რომ ხელშეკრულებები ერთ პირთან მოლაპარაკებების გზით, ტენდერის გარეშე გაფორმდა.



მისი თქმით, ეს ახსნეს იმით, რომ სასწრაფო წესით უნდა მომხდარიყო ხელშეკრულებების გაფორმება და კამერებიც დაუყოვნებლივ უნდა დამონტაჟებულიყო.

## ლევან ხაბეიშვილი: „აუცილებლად მივმართავთ პროკურატურას“

როგორც ის „ახალ თაობასთან“ საუბარში აღნიშნავს, მთელ რიგ რაიონებში დღემდე არ მომხდარა ამ კამერების დამონტაჟება.

– გამგეობების ნაწილმა მთავრობის განკარგულებიდან რამდენიმე კვირის შემდეგღა დაიწყო ხელშეკრულებების გაფორმება. ამ პერიოდში თავისუფლად მოესწრებოდა ტენდერის ჩატარება, – ამბობს ხაბეიშვილი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ 62-ვე გამგეობამ 11 ხელშეკრულება ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირთან გააფორმა.

– აღმოჩნდა, რომ 62 გამგებელს გაელვიძა და გადაწყვიტა ყველამ, ხელშეკრულება გაეფორმებინა დელტა კონსტალტინგთან. ამ კომპანიას ჯალიაშვილი ხელმძღვანელობს. ეს პირი კაბელების საქმეში ფიგურირებდა და ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მოწმე იყო. კაბელების საქმეც მის მიერ იყო დაწყებული, – აცხადებს ნაცმოძრაობის წარმომადგენელი.

ის ახლო მომავალში პროკურატურაში ფიქრობს განცხადების შეტანას, მანამდე კი პრემიერთან აპირებს რაღაცების გარკვევას.

– 22 აგვისტოს მთავრობის მეთაურს მივმართავთ წერილით და შევეცდებით იმის გარკვევას, გასცა თუ არა მან განკარგულება, პირდაპირ დელტასთან მომხდარიყო ხელშეკრულების გაფორმება. თუ იტყვის, რომ მან გასცა ეს განკარგულება, პირდაპირ პოლიტიკურ კორუფციასთან გვაქვს საქმე. ამის შემდეგ უკვე პროკურატურაში შევიტანთ განცხადებას, – აცხადებს ხაბეიშვილი.

საგამოძიებო უწყებაში ის იმ შემთხვევაშიც წავა, თუ პრემიერი იტყვის, რომ მას ასეთი განკარგულება არ გაუცია.



– წარმოუდგენელია, 62-ვე გამგებელს ერთ ფირმასთან მოენდომებინა ხელშეკრულების გაფორმება, – მიაჩნია ნაცმოძრაობის წარმომადგენელს.

ხაბეიშვილის თქმითვე, გამოსაძიებელია კამერების ფასებიც.

# თალაკვაძე კონსტიტუციასთან დაკავშირებით ოპოზიციის შენიშვნებს წერილობით ითხოვს



არჩილ თალაკვაძე ოპოზიციის ლიდერებს საკუთარი მოთხოვნების წერილობით გადაგზავნას სთხოვს. თალაკვაძის წერილი ოპოზიციამ გუშინ მიიღო. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა რურუა ფაქტს ღიმილისმომგვრელს უწოდებს და აცხადებს, რომ ოპოზიციამ საკუთარი შეხედულებები და მოთხოვნები საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით არაერთხელ და მათ შორის წერილობითაც გააჟღერა.

– დღეს მივიღეთ წერილი ბატონი თალაკვაძისგან, რომელსაც აშკარად გაუტკბა ეპისტოლარული ჟანრი და გააძლიერა წერილების მიმოწერა. ეს უკვე ცოტა სასაცილო ხდება იმიტომ, რომ მის პირველ თხოვნაზე წერილობით მიგვეწოდებინა ჩვენი მოთხოვნები, გავაგზავნეთ წერილი, სადაც მარტივად თუ ქართულის კითხვა არ დავიწყებიათ, მოცემულია ჩვენი კონკრეტული პოზიცია, ძალიან არაორაზროვანი. დღეს კიდევ ითხოვენ, რომ მივცეთ დამატებითი წერილი იმ საკითხების ჩამონათვალი, რომელთა კონსტიტუციაში არ ასახვის შემთხვევაში, თქვენი პარტია მხარს არ დაუჭერს საკონსტიტუციო ცვლილებებს და რომელიც კონსტიტუციაში ასახვის შემთხვევაში საკონსტიტუციო ცვლილებებს ექნება თქვენი პარტიის მხარდაჭერა. ამ დროს აქ ლაპარაკი იყო 10 პარტიის მიერ გაგზავნილ წერილზე და ასე სათითაოდ იმავე რაღაცის მოთხოვნა არაგულწრფელობის ნიშანია. არ არის პრობლემა კიდევ ერთ წერილს დავუწერთ, კიდევ გავუგზავნით ყველანი, მაგრამ ეს მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ყალთაბანდობენ, – განაცხადა ნიკა რურუამ.

# ეკა ბესელია: „დამატებითი კონსულტაციები უკვე გუნდის შიგნით იქნება“



მას შემდეგ, რაც საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია მმართველ გუნდს საკუთარ მოთხოვნებს წერილობით გადაუგზავნის, საპარლამენტო უმრავლესობაში დამატებითი კონსულტაციები გაიმართება. ამის განცხადება პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ გააკეთა. ბესელიას განცხადებით, შეთავაზებებისა და შენიშვნების შემდეგ ვიდრე ოპოზიციასთან მოლაპარაკებებს დაუბრუნდება, მმართველმა გუნდმა პარტიულ კონსენსუსს უნდა მიაღწიოს.

– დამატებითი კონსულტაციები უკვე გუნდის შიგნით იქნება, რომლითაც იმ კონკრეტულ შემოთავაზებებს, თუ წერილობით იდეებს, რომელიც არის ამ პირველი შეხვედრის შემდეგ ოპოზიციური პარტიების მხრიდან მოწოდებული და განვიხილავთ, გვექნება ამის საუბარი და მსჯელობა. ამის შემდეგ ალბათ კიდევ დაიგეგმება შემდეგი შეხვედრა, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

# ისნის ბაზრობის დაზარალებული: „ყველაფერი მიწასთან არის გასწორებული, რკინაც კი დამდნარია“

ისანში, მეორადი ავტომობილების ნაწილების ბაზრობაზე გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულები ტერიტორიაზე შევიდნენ და დამწვარი კომერციული ობიექტები დაათვალიერეს.

– დაახლოებით 38-მდე დამწვარი მაღაზია დავითვალეთ. არაფერია გადარჩენილი, მიწასთანაა ყველაფერი გასწორებული, რკინაც კი დამდნარია, – განაცხადა ერთ-ერთმა დაზარალებულმა, ანრი გიაშვილმა.

მისივე თქმით, საგამოძიებო მოქმედებები კვლავ გრძელდება და კიდევ რამდენიმე დღე გასტანს.

– გვითხრეს, რომ დაგვიკავშირდებიან, რათა აღრიცხვაში დავეხმაროთ. ასევე გვითხრეს, რომ წარვადგინოთ, თუ რამე დოკუმენტაცია გვაქვს მანქანის ნაწილების შემოტანის, რათა აღრიცხვა მოხდესო, – განაცხადა ანრი გიაშვილმა.

ტერიტორიაზე შესვლამდე დაზარალებულებსა და ბაზრობის მფლობელი კომპანიის „ტრანსსერვისის“ დირექტორ ბექა მახარაძეს შორის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის დასრულების შემდეგ კი დაზარალებულებს ტერიტორიაზე შესვლის საშუალება მიეცათ.

❖ ❖ ❖

კომპანია „ტრანსსერვისის“ გენერალური დირექტორი ბექა მახარაძე აცხადებს, რომ კომპანია ისნის მეორადი ავტონაწილების ბაზრობის დაზარალებულებს შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად დაეხმარება. მისი თქმით, დახმარების ერთ-ერთი ფორმა, შემოსავლების სამსახურის თანხმობის შემთხვევაში, გარკვეული პერიოდით დაზარალებულების იჯარიდან გათავისუფლება იქნება.

– კომპანიამ გადაწყვიტა, რაღაც დოზით დახმარება გაუწიოს ინდმეწარმეებს. კომპანიას რისი ფინანსური საშუალებაც ექნება, იმის მიხედვით გავუწევთ დახმარებას. რამდენიმე ადამიანი ახსენებს, თითქოს კომპანია დახმარებაზე უარს ამბობს. 2015 წელს ჩვენ აბსოლუტურად ყველა დაზარალებულს კომპენსაცია გავუწიეთ. კომპანიას დიდი კრედიტი აქვს აღებული და რისი საშუალებაც იქნება, აუცილებლად დავეხმარებით. ეს ყველაფერი გადაწყდება მას შემდეგ, რაც ყველაფერი დაითვლება, –აღნიშნა ჩხაიძემ.

რაც შეეხება დაზღვევას, კომპანიის წარმომადგენლების ინფორმაციით, მეორად ავტონაწილებს სადაზღვევო კომპანიები არ აზღვევენ.

❖ ❖ ❖

ისნის მეორადი ავტონაწილების ბაზრობის დამწვარ ჯიხურებს ექსპერტები სწავლობენ. სავარაუდოდ, სწორედ ექსპერტების მიერ ჩატარებული აღწერის შემდეგ გახდება ცნობილი ზარალის ოდენობა. ექსპერტების მუშაობა რამდენიმე დღე გაგრძელდება. ექსპერტებთან ერთად ჯიხურებში მათი მფლობელებიც არიან.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მეგი გოცირიძე: „ნეტავ დაიჭირონ სააკაშვილი!“

## „მთელი „ოცნება“ უნდა ლოცულობდეს, უკრაინის პროკურატურამ არაფერი მიქაროს“

შორენა მარსაგიშვილი

ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები „ქართულ ოცნებას“ მიხეილ სააკაშვილის დაკავებისკენ მოუწოდებენ. ყოფილ დეპუტატ მეგი გოცირიძის თქმით, ვერც უკრაინისა და ვერც საქართველოს პროკურატურა ყოფილი პრეზიდენტის დაკავებას ვერ გაბედავს. მისი დაკავების შემთხვევაში გოცირიძე ორივე ქვეყანაში არეულობას პროგნოზირებს. რატომ გამოვა ხალხი ქუჩაში და ვისი დავალებით დასდევენ სააკაშვილს? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ მეგი გოცირიძე ესაუბრება.



***— მიხეილ სააკაშვილი 10 სექტემბერს აპირებს უკრაინაში დაბრუნებას. უკრაინის პროკურატურა აცხადებს, რომ დაბრუნების შემთხვევაში მას დააკავებენ და საქართველოს გადმოსცემენ. თქვენი აზრით, უნდა ველოდოთ ყოფილი პრეზიდენტის საქართველოში ექსტრადირებას?***

— იმისთვის, რომ ადამიანის ექსტრადირება მოხდეს, საჭიროა, ამაზე ხელისუფლებამ მოთხოვნა გააგზავნოს. საქართველოს ხელისუფლებას კი სააკაშვილის ექსტრადირება არ აწყობს. მათ იმის გაფიქრებაც კი აშინებთ, თუ რა მოჰყვება საქართველოს მესამე პრეზიდენტის დაკავებას.

ამის გარდა, მაინტერესებს, როგორ აპირებს უკრაინის პროკურატურა მის დაკავებას. რამდენადაც ვიცი, უკრაინელი მესაზღვრეები მის დაკავებაზე უარს ამბობენ. ათასობით ადამიანი მზად არის, საზღვარზე დახვდეს სააკაშვილს.

დარწმუნებული ვარ, საქართველოს მესამე პრეზიდენტს ხელს ვერავინ მოჰკიდებს. თუმცა მსოფლიო მნიშვნელობის მანიაკი ამისთვის ყველაფერს გააკეთებს. ის თავის ხელქვეითებს სთხოვს, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, დააკავონ სააკაშვილი.

***— მსოფლიო დონის მანიაკში ვის გულისხმობთ?***

— ვის და ვლადიმერ პუტინს. ის სააკაშვილს პირად მტრად მიიჩნევს და ყველაფერს აკეთებს მის წინააღმდეგ. ბევრი ეცადა და ვერც სახელის გატეხა შეძლო. ათასი რამე მოუგონა. ახლაც რუსეთის წამყვან არხებზე სააკაშვილზე გადაცემებს აწყობენ. ვნებააშლილ და ვნებამოჭარბებულ ქალებს ალაპარაკებენ მასზე. მაგრამ ამას აღარავინ ჭამს. რაც შეეხება დაკავებას, პუტინი ამ მიზნის მიღწევასაც შეეცდება. მან პოროშენკოსა და ივანიშვილს კატეგორიულად მოსთხოვა სააკაშვილის დაკავება. ეს საცოდავი მილიარდერებიც დარბიან და ცდილობენ, რაიმე მოიგონონ მბრძანებლის ნების შესასრულებლად.

***— პოროშენკო და ივანიშვილი საცოდავები რატომ არიან? სხვა თუ არაფერი, მილიარდები აქვთ.***

— საქმეც ეგ არის, რომ მილიარდები აქვთ და მაინც მონები არიან. ივანიშვილს 7 მილიარდი აქვს და ჭორვილას ვერ გასცილებია. სააკაშვილს პასპორტსაც ართმევენ და მთელ მსოფლიოში დადის უპრობლემოდ. მას ყველგან დიდი სიხარულით ხვდებიან და მსოფლიო წამყვანი ტელევიზიები რიგში დგანან, მასთან ინტერვიუ რომ ჩაწერონ.

***— ივანიშვილი თუ მოისურვებს, მსოფლიოს ვერ მოივლის?***

— ეს რომ შეძლებოდა, აქამდე მოივლიდა. სად გინახავთ თავის სოფელში გამოკეტილი მილიარდერი.

***— მილიარდებზე რადგან ჩამოაგდეთ სიტყვა, როგორც ამბობენ, სააკაშვილმაც წაიღო მილიარდები საქართველოდან.***

— თქმით ბევრ რამეს ამბობენ, მაგრამ რას უმტკიცებენ? საქმე 1 ქაშმირის პალტოსა და 7 პიჯაკზე აღუძრეს. ეს ყველაფერი ძალიან სასაცილო იქნებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში სატირალია. პროკურატურას გული რომ არ ვატკინო, ვაცლავ ჰაველის დაკრძალვაზე წაღებულ გვირგვინსაც ედავებიან. ჰო, უკრაინის პრეზიდენტის მიერ გამოყენებული საპონიც არ დამავიწყდეს.



უკრაინაშიც ვერაფერი ამოუქექეს და ახლა ტყუილად ფაფხურობენ. სააკაშვილს ვერავინ დაიჭერს.

***— ვთქვათ და დაიჭირონ, მერე?***

— ნეტა დაიჭირონ და მერე ნახავენ, რა მოხდება ან უკრაინაში, ან საქართველოში.

***— რატომ გგონიათ, რომ რაიმე მოხდება?***

— არ მგონია, ამაში დარწმუნებული ვარ. წულუკიანი და შოთაძე დაიჭერენ სააკაშვილს თუ ლუცენკო? კიდევ ერთხელ ვამბობ, ნეტავი მართლა დაიჭირონ. აქ ისეთი ამბები დაიწყება, მეოცნებეები ერთმანეთს გაასწრებენ. ეს ძალიან კარგად იციან ქოცებმა და ამიტომაც არ ითხოვენ მის ექსტრადირებას.

კარგად დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, სააკაშვილის დაკავება ამ ხელისუფლებას დაამთავრებს, ამიტომ მთელმა „ქართულმა ოცნებამ“ ახლა იმაზე უნდა ილოცოს, რომ უკრაინის პროკურატურამ არაფერი მიქაროს.

# „ქართული ოცნება“ ჩიხშია და დათმობა მოუწევს“

## გიორგი ვაშაძე: „ვერ გავიგე, როდის აქეთ გახდა კახა ოქრიაშვილი ხელისუფლების მთავარი პოლიტიკური ფიგურა“

ნონა ცაბაძე

გასულ კვირას ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა, რომელიც კონკრეტული შეთანხმების გარეშე დასრულდა.

რა მოლოდინი აქვს ოპოზიციას ხელისუფლებისგან? — „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს „ახალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.



***— ბატონო გიორგი, რას ელოდებით, დააკმაყოფილებს ხელისუფლება ოპოზიციის მოთხოვნებს?***

— მე მეტს ველოდი უმრავლესობის მხრიდან. რაღაც პოზიცია იყო ისეთი, თითქოს მათთვის გაუგებარი იყო, რა იყო ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი. კარგით, ეს ფორმალობაც შევასრულეთ, ღიად დავუფიქსირეთ ეს საკითხები. მთავარი, რა თქმა უნდა, არის საარჩევნო სისტემა, რაზეც სამოქალაქო სექტორიც თანხმდება, თანხმდება საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა. „ქართულმა ოცნებამ“ აიღო პაუზა მომავალ კვირამდე, როცა კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართება, სადაც მათ საკუთარი პოზიცია უნდა გვაცნობონ ამ საკითხთან დაკავშირებით.

***— ოპოზიცია საარჩევნო სისტემის ირგვლივ გაერთიანდით?***

— ეს არის ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რამაც მიგვიყვანა იქამდე, რომ „ქართულმა ოცნებამ“, როგორც იქნა, დაიწყო ფიქრი დიალოგზე. ზუსტად ეს ერთიანობა იქნება, რაც, საბოლოო ჯამში, შედეგს მოგვცემს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით.

***— გარდა პროპორციული სისტემისა, კიდევ რა საკითხები წამოაყენა ოპოზიციამ ამ შეხვედრაზე?***

— პირველ რიგში, არის პარლამენტის სრულად პროპორციული სისტემით არჩევის წესი, რაზეც თვითონ „ქართული ოცნება“ საუბრობდა ჯერ კიდევ საკონსტიტუციო განხილვების დაწყების დროს. შემდეგ არის პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი, რასაც საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა ითხოვს და ემხრობა. შემდეგი საკითხები არის ბარიერთან დაკავშირებით, 3%-იანი თვითონვე გაითვალისწინეს და მე აქ პრობლემას ვერ ვხედავ. ამ კუთხით დიდი აზრთა სხვაობა არ იქნება ოპოზიციურ ფლანგზე, თუმცა არის რამდენიმე პარტია, რომლებიც ფიქრობენ, რომ უბარიერო სისტემაც კარგი იქნება.

***— „ქართულმა ოცნებამ“ ბარიერის დაწევაზე იმიტომ ხომ არ დაიწყო საუბარი, რომ პროპორციული სისტემის თემა გადაეფარა?***

— რა თქმა უნდა, ეს მცდელობა ჰქონდა „ქართულ ოცნებას“, რომ რაღაცნაირად პატარა საკენკი გადმოეგდო, ცალკე გაეტანა ეს საკითხი და რაღაცა პარტიების რაოდენობა მაინც ყოფილიყო, რომლებიც უბარიერო სისტემას დაუჭერდნენ მხარს. თუმცა აქაც ოპოზიციის პოზიცია სრულიად ნათელია, ერთიანია და ეს ძალიან კარგია ამ შემთხვევაში! ოპოზიციის განწყობა ასეთია: ჯერ უნდა შევთანხმდეთ, რომ ვუბრუნდებით ისევ პროპორციული სისტემის არსებობას და მხოლოდ ამის შემდეგ ვსაუბრობთ სხვა საკითხებზე!

***— რა ტენდენციები გამოიკვეთა შეხვედრისას? წამოვა ამ ულტიმატუმზე „ქართული ოცნება“?***

— „ქართული ოცნება“ ჩიხშია, რადგან, თუ არ წამოვა დათმობაზე, მაშინ მოუწევს მოლაპარაკების წარმოება უკვე ვენეციის კომისიის შუამდგომლობით 6 სექტემბერს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, მათ აუცილებლად მოუწევთ დათმობებზე წასვლა.

***— ექსპერტთა ნაწილი აცხადებს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებს უკვე ორჯერ უყარა კენჭი მმართველმა გუნდმა, ყველანაირი გზა მოიჭრა და აბსურდს დაამგვანა სიტუაცია, ეს შეხვედრაც ამ აბსურდის გაგრძელებააო. თქვენ ფიქრობთ, დარჩა გამოსავალი?***



— სამწუხაროდ, ფაქტია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ჩიხში თვითონ შეიყვანა ეს პროცესი. ამაში მე დავეთანხმები ექსპერტებს და არაერთხელ მითქვამს, რომ საერთოდ თვითონ საკონსტიტუციო პროცესი სრულიად არასწორად იყო აგებული.

***— არის გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან?***

— ამ კვირაში ყველაფერი გამოჩნდება.

***— თალაკვაძე აცხადებს, ოპოზიციამ ხელისუფლებას მოთხოვნები წერილობით უნდა წარუდგინოსო. ოქრიაშვილი ამბობს, მთავარი კონსენსუსი კი არა, ხარისხიანი კონსტიტუციის მიღებააო. რაზე მიგანიშნებთ ხელისუფლება?***

— საერთოდ, ეს ვერ გავიგე, ოქრიაშვილი როდიდან გახდა მთავარი პოლიტიკური ფიგურა „ქართულ ოცნებაში“?! მე ვფიქრობ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ თავის შიგნით მოძებნა ადამიანები, რომელთა პირითაც ახმოვანებს იმ რეალურ სურვილს, რომელიც აქვს. ამავე შეხვედრაზე მწვანეთა პარტიის წარმომადგენელი გია გაჩეჩილაძეც ამბობდა, რომ მათი პარტიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მაჟორიტარული სისტემა. ვერ მივხვდი არგუმენტაციას. რომელიმე მაჟორიტარს ოდესმე რაიმე შედეგი უჩვენებია, თუ რა უნდათ?! სრულიად გაუგებარი არგუმენტაცია იყო. ამდენ მარჩიელობას სჯობია, დაველოდოთ, რამდენიმე დღე დარჩა და მალე ყველაფერს დავინახავთ.

***— გაუჭირდება „ოცნებას“ ამ ჩიხიდან გამოსავლის მოძებნა?***

— ხელისუფლება ჩიხშია და მას მოუწევს დათმობებზე წასვლა. ერთადერთი, რისი იმედიც მათ აქვთ, არის ის, რომ შეძლონ და დაარღვიონ ოპოზიციური ერთობა, თვლიან, რომ ასეთ შემთხვევაში სხვა პროცესები იქნება. სხვა შემთხვევაში მათ აუცილებლად დათმობაზე წასვლა მოუწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკმაოდ რთულ პროცესებში შევდივართ. ოპოზიცია ხელისუფლების პასუხს ელოდება.

# დაჩი ცაგურია: „ირაკლი პეტრიაშვილი თავის პირად ბოღმას ჩემზე ანთხევს“

გაფიცული რკინიგზელების ბრალდებებს „საქართველოს რკინიგზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი დაჩი ცაგურია პასუხობს. ცაგურიას სატელეფონო კომენტარს რუსთავი 2 ავრცელებს.

ცაგურია ბრალდებებს არარეალურსა და არასერიოზულს უწოდებს.

— ეს ბრალდებები არის ძალიან არასერიოზული. ყოველგვარ აზრს არის მოკლებული მათი ეს განცხადებები. პეტრიაშვილი თავის ამ პირად ბოღმას ამ ფორმით ანთხევს ჩემზე, რომ დასვა აქ თავისი თანამშრომლები, რომლებსაც



თავად უხდის ხელფასს და ისინი არ არიან რკინიგზის თანამშრომლები და აშიმშილებს იმიტომ, რომ დამაზიანოს, ჩემი რეპუტაცია შელახოს. ირაკლი პეტრიაშვილი, დიახაც, არის სააკაშვილის სიბინძურეში აღმოცენებული, არშემდგარი პოლიტიკური ლიდერი, — აცხადებს დაჩი ცაგურია.

გაფიცული რკინიგზელები ფართომასშტაბიან შიმშილობას გეგმავენ. რკინიგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარე, ვიტალი გიორგაძე დაჩი ცაგურიას უფლებამოსილების გადაჭარბებაში ადანაშაულებს და მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს.

# რამაზ საყვარელიძე: „მთლიანად მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემაზე უნდა გადავიდეთ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, ოპოზიცია ამბობს, რომ მხოლოდ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, თუ რა შედეგით დასრულდება მოლაპარაკებები, მიიღწევა თუ არა კონსენსუსი საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. ეთანხმებით?***

– რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები, როგორ შეიძლება, კონსენსუსი ერთ მხარეზე იყოს დამოკიდებული. ოპოზიცია არსად ამბობს, თვითონ რაზეა წამსვლელი, რას დათმობს. ოპოზიცია დათმობას მხოლოდ ხელისუფლებას სთხოვს. არადა, ამ პროცესში ხელისუფლებამ უკვე დათმო.

***– რა დათმო?***

– ბარიერი. ეს ოპოზიციამ არც კი აღნიშნა, როგორც დათმობა.

***– ოფიციალურად ამის შესახებ არ თქმულა.***

– გასაგებია, მაგრამ გავრცელებული ინფორმაცია ნიშნავს, რომ შეიძლება იყოს ასეთი შეთავაზება, მაგრამ როგორი იყო ოპოზიციის რეაქცია? ვითომ არაფერი, არადა, რა შედეგიც დადეს წინასაპარლამენტო არჩევნებზე, კარგად ვნახეთ. ოპოზიცია მუშაობს არა კონსენსუსზე, არამედ მაქსიმალური გამოძალვის პრინციპით.

***– თუ ოპოზიცია ასეთი სუსტია, მაშინ რატომ აქვს ძლიერის პოზიცია?***

– ამ პოზიციას მას დღეს ბუკიკიო და ვენეციის კომისია უმყარებენ. რადგან კონსენსუსის მიღწევის მოთხოვნა ევროპამ წამოაყენა,




ახლა ოპოზიცია ამით სარგებლობს, ხელისუფლება კი ეძებს გზებს, რადგან, თუ ვერ შედგება კონსენსუსი, ეს იქნება არაევროპულობის დაფიქსირება, რაც არ უნდა ხელისუფლებას.

მთელი ამბავი საარჩევნო სისტემაზეა ატეხილი, არადა, ოპოზიციას მაჟორიტარული არჩევნები უფრო აწყობს, ვიდრე პროპორციული, თავისი დაბალი რეიტინგიდან გამომდინარე. საქართველოში პოლიტიკური პარტიები პოპულარულები არ არიან, მაგრამ ამას ვერ ხვდება ოპოზიცია.

***– საარჩევნო ბლოკების გაუქმება პარტიული სისტემის გაძლიერებისკენ გადადგმული ნაბიჯია?***

– ოპოზიციას საარჩევნო ბლოკები უნდა იმისთვის, რომ ერთმანეთთან შეიკრან და აბა გადმოვაგდოთ! ამის პრაქტიკა 25 წელზე მეტია გვაქვს და რა მოგვიტანა? ამ პრაქტიკამ არ გამოიწვია პარტიების განვითარება, პირიქით. ეს პატარ-პატარა პარტიები არჩევნების წინ ერთმანეთთან შეიკვრებიან, ხან ერთ ხელისუფლებას გადმოაგდებენ და ხან მეორეს, მოვლენ ხელისუფლებაში და მერე ისევ დაიშლებიან. რჩებიან ისეთებად, როგორებიც არიან, არაფერი არ ემატებათ. თუ, მაგალითად, ნაციონალური მოძრაობა, პატრიოტთა ალიანსი ისე გაძლიერდება, რომ მათთან მივიდეს ყველა ოპოზიციური ხმა, რაღა საჭირო გახდება მათი ბლოკად შეკვრა.

***– ალბათ რთულად წარმოსადგენია ნაციონალებისა და ირმა ინაშვილის ერთობა. გამსხვილება ასეთი ხელოვნური არ უნდა იყოს, საერთო იდეოლოგია, პლატფორმა უნდა აერთიანებდეთ.***

– რთული წარმოსადგენია, მაგრამ შესაძლებელია, მათ ამას არცერთი კანონი არ უკრძალავს. პარტიები არც კი ზრუნავენ იმაზე, რომ გაძლიერდნენ. თქვენი აზრი მინდა გავაგრძელო – დიახ, ასეთი გამსხვილება სწორედ რომ ბუნებრივად უნდა ხდებოდეს. მათ უნდა ჰქონდეთ საერთო მიზნები, ამოცანები და არა ისე, როგორც ხდება ხოლმე. ხშირად მოაქვთ მაგალითად, ივანიშვილმა ბლოკით გაიმარჯვა და მერე თვითონ აკრძალა ბლოკიო. ეს ღიმილის მომგვრელი არგუმენტია.

***– რატომ?***

– ბლოკი, რომელიც ივანიშვილმა შეკრა, შედგებოდა რესპუბლიკელებისგან, კონსერვატორებისგან, სოციალ-დემოკრატებისგან, ფორუმისა და ალასანიას პარტიისგან. მითხარით, მათ მოიგეს 2012 წელს არჩევნები თუ ივანიშვილის ფაქტორმა მოიგო არჩევნები?! ამას თავადაც აღიარებენ, რომ არჩევნები ივანიშვილმა მოიგო. ამომრჩეველი მხარს უჭერდა არა ამ პარტიებს, არამედ ივანიშვილს. მერწმუნეთ, ივანიშვილი მარტო რომ გასულიყო არჩევნებზე, იმავე ხმებს აიღებდა, შეიძლება, უფრო მეტიც აეღო. შესაბამისად, სად არის აქ ლოგიკა? ეს არის ოპოზიციის არგუმენტი, რატომაც არ უნდა გაუქმდეს საარჩევნო ბლოკი?! ეს სასაცილოა.

***– პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე როდესაც არის საუბარი, ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლებამ წინასაარჩევნო დაპირება უნდა შეასრულოს.***

– ხელისუფლებამ ხალხისთვის მიცემული დაპირება, კი ბატონო, უნდა შეასრულოს, მაგრამ შეიძლება, ამ დაპირების შესრულებამ ერთგვარი სახელისუფლებო კოლაფსი გამოიწვიოს. ესეც არის გასააზრებელი.

***– რას გულისხმობთ?***

– თუ მაჟორიტარები განუდგებიან, მაშინ როგორ გაიტანენ თუნდაც ამ საკონსტიტუციო ცვლილებას? მე ვისურვებდი, რომ ხელისუფლებას უფრო მეტი აეხსნა მოსახლეობისთვის, რატომ შეიძლება ვერ გადავიდეს 2020 წელს პროპორციულ სისტემაზე.

საერთოდ მე ვთვლი, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა არ არის საქართველოსთვის ადეკვატური. მე მგონი, ჯერ საქართველოსთვის ამ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა ნაადრევია. უკეთესია, მთლიანად მაჟორიტარულ სისტემაზე გადავიდეთ, როგორც ეს ამერიკაშია.

# ისლანდიაში დაღუპულ ნიკა ბეგაძეს საქართველოში ერთ კვირაში გადმოასვენებენ



გულფოსის ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ჰვითაში ნაპოვნ 22 წლის ნიკა ბეგაძის ცხედარს ისლანდიიდან რუსთავში ერთ კვირაში, 26 აგვისტოს გადმოასვენებენ. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ბეგაძის ოჯახის ახლობლებმა განუცხადეს.

მათივე ინფორმაციით, ექსპერტიზამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ მდინარეში ნაპოვნი ცხედარი ნიკა ბეგაძეა. ცხედარს ჩაუტარდა აუტოფსია და გენეტიკური ექსპერტიზაც.

ცხედრის რუსთავში გადმოსვენებას, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი უზრუნველყოფს.

ნიკა ბეგაძე ისლანდიაში, გულფოსის ჩანჩქერთან 19 ივლისს გაუჩინარდა. სამძებრო ღონისძიებები ჩანჩქერში, მდინარეში და სანაპიროზე მიმდინარეობდა და მასში სპეციალური ტექნიკა, კერძოდ, ვერტმფრენებიც იყო ჩართული.

ისლანდიის პოლიციამ მდინარე ჰვითაში მამაკაცის გვამს 6 აგვისტოს მიაკვლია. თითის ანაბეჭდებისა და სტომატოლოგიური სურათის მიხედვით იმავე დღეს დადგინდა, რომ ეს ნიკა ბეგაძე იყო. მიმდინარე კვირას კი ჩატარდა გენეტიკური ექსპერტიზა და ცხედარი საბოლოოდ ინდენტიფიცირებულ იქნა.

ნიკა ბეგაძე ვიდეოკამერებმა ბოლოს 19 ივლისს გულფოსის ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზე დააფიქსირეს. ჩანჩქერისა და მდინარის ტერიტორიაზე პოლიციამ ნახა ავტომანქანა, რომელიც მის მეგობარ გოგონას ეკუთვნოდა, ასევე ნანახი იქნა მისი პირადი ნივთები და შუაზე გადატეხილი ტელეფონი. ნიკა ბეგაძე მეორე წელია ისლანდიაში, ქალაქ რეიკიანესბერგში ცხოვრობდა.

# სამი კორპუსის ეზოში ფეკალური მასა წელიწადზე მეტია გროვდება

დაბინძურებული წყალი, მწერები და უსიამოვნო სუნი ქალაქ გორში, კომბინატის დასახლებაში მდებარე სამი კორპუსის ეზოში წელიწადზე მეტია აწუხებთ.



გორგასლის ქუჩის №16-ში დაზიანებული მილიდან ფეკალური მასალა პირდაპირ სადარბაზოების წინ გროვდება. გარეთ, განსაკუთრებით, ზაფხულში, არავინ ჩერდება. ბავშვები ეზოში არ ჩანან. აქ მხოლოდ მანქანებს აჩერებენ, ღამით კი ფანჯრებს ეზოს მხარეს აღებენ.

– ერთი წელიწადიც არაა გასული, რაც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას მივმართეთ. იქიდან მოგვივიდა პასუხი, რომ საკითხის მოგვარება მათ კომპეტენციაში არ შედის, – გვითხრა „ამხანაგობის“ თავმჯდომარე თამარ გოგოსაშვილმა.

მისი თქმით, ოფიციალურ დოკუმენტს ხელს კომპანიის რეგიონული ოფისის წარმომადგენელი პაატა ივანიშვილი აწერს.

– ამის შემდეგ მივმართეთ ქალაქ გორის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს, სადაც შეგვხვდა ამ სამსახურის წარმომადგენელი თემურ კალმახელიძე, მგონი, გვარი სწორად მახსოვს. მან გვითხრა, რომ თუ ცენტრალური მილი არ გამოიცვალა, ეზოში არსებული მილების გამოცვლას აზრი არა აქვს, თუმცა, ადგილზე მაინც მოვალთ და ვნახავთო, – განმარტავს თამარ გოგოსაშვილი. მისი ინფორმაციით, ადგილზე მისი თანდასწრებით შემოწმება არ ჩატარებულა.

გორის მერიის ინფრასტრუქტურული პროგრამის მიხედვით, ამხანაგობას შეუძლია პრობლემის მოგვარება თანადაფინანსებით. საჭირო თანხებს ადგილობრივი ბიუჯეტი გაიღებს, 95%-ით, თუმცა, ამ ეტაპზე, არაა შედგენილი პროექტი, სადაც საერთო ჯამში, დაზიანებული კანალიზაციის მილების გამოსაცვლელად საჭირო ხარჯები იქნება ასახული.

ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელი მევლუდ ჩოხელი ამბობს, რომ კანალიზაცია ორ კვირაში ერთხელ იწმინდება, თუმცა, დაზიანების ხარისხი იმდენად დიდია, რომ ეზოში წყალი მალე გროვდება.

– ამ შემთხვევაში უნდა იაქტიუროს ამხანაგობამ. მოსახლეობა არ აქტიურობს. არ უნდათ იმ 10%-ის გადახდა, რომელიც საჭიროა თანადაფინანსების პროგრამაში. მერია 100%-ით ვერ აფინანსებს, – აცხადებს მევლუდ ჩოხელი.

ქართლი.გე

# ბელგიაში ავტომანქანა წვეულების დროს ხალხის ჯგუფს დაეჯახა

ბელგიის ქალაქ ასენუაში ავტომანქანა წვეულების დროს ადამიანებს დაეჯახა. ავტომანქანაში სამი მგზავრი იმყოფებოდა. ინციდენტის შედეგად ოთხი ადამიანი დაშავდა, რომელთაგან ერთი მძიმე მდგომარეობაშია.

მედიის ინფორმაციით, მომხდარის შემდეგ ბოროტმოქმედებმა მიმალვა ცადეს, მაგრამ პოლიციამ ისინი ქალაქ აუბი-სიურ-სემუასთან დააკავა.




სამართალდამცველების ინფორმაციით, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლით აღიძრა, რომელიც მოკვლის მიზნით თავდასხმას გულისხმობს. მათი თქმით, ამ დროისთვის ტერაქტზე საუბარი ნაადრევია.

# 36 იტალიელი მოსკოვის რესტორნიდან პირდაპირ საავადმყოფოში მოხვდა

36 იტალიელი ტურისტი მოსკოვში, სასტუმრო „ბოროდინოს“ რესტორანში ვახშმობის შემდეგ საკვებისგან მოწამვლით საავადმყოფოში მოხვდა. ამის შესახებ Mash იტყობინება. წინასწარი მონაცემებით, ისინი შესაძლოა სალმონელათი დაავადებული საკვებით მოიწამლნენ.



იტალიის დიპლომატიური წარმომადგენლობა რუსეთში მომხდარის გარემოებებს სწავლობს.

სასტუმროს თანამშრომლები რესტორნის კავშირს მომხდართან გამორიცხავენ და აცხადებენ, რომ ტურისტები სხვა ადგილზე მოიწამლნენ.

# აშშ-ში მზის სრული დაბნელების სანახავად ემზადებიან



21 აგვისტოს დედამიწაზე მზის დაბნელება იქნება, რომელსაც ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობა შეუიარაღებელი თვალით იხილავს. მზის სრული დაბნელება 2 წუთი და 40 წამი გაგრძელდება. 21 აგვისტოს დაბნელებას უკვე უწოდეს „ამერიკული.“

მზის დაბნელება აშშ-ის ტერიტორიაზე 1918 წლის შემდეგ პირველად გამოჩნდება. მის ნახვას ორეგონის შტატიდან სამხრეთ კაროლინამდე არსებულ ტერიტორიაზე მყოფი ადამიანები შეძლებენ. ქვეყნის დანარჩენ რეგიონებში დაბნელება მხოლოდ ნაწილობრივი იქნება.

# მაღლაკში მამაკაცი გაძარცვეს

უცნობმა პირებმა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მამაკაცი გაძარცვეს.

ადგილობრივების ინფორმაციით, მამაკაცს სხეულზე დაზიანებები აღენიშნება, მისი საცხოვრებელი სახლიდან კი წაღებულია თანხა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით დაიწყო, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

# მამუკა არეშიძე: „ტერორისტები ფურგონებზე იმიტომ გადავიდნენ, რომ უფრო იაფი უჯდებათ“

ნონა ცაბაძე

ევროპა ტერაქტების ბუმმა მოიცვა. ტერორისტებმა ასაფეთქებელი მოწყობილობების ნაცვლად სატვირთო მანქანები გამოიყენეს და ხალხით სავსე ქუჩებში შეცვივდნენ. რატომ შეცვალეს ტერორისტებმა სტრატეგია, რა ღონისძიებები უნდა გაატაროს მსოფლიომ ტერორიზმის წინააღმდეგ? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ექსპერტი მამუკა არეშიძე პასუხობს.

*– ბატონო მამუკა, ევროპაში ტერაქტების ბუმია. ტერორისტებმა მოქმედების სტილი შეიცვალეს. როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას?*

– ტერაქტების ბუმი არც იყო გასაკვირი. ამის თაობაზე ყველა საქმეში ჩახედული ადამიანი ლაპარაკობდა. ჩვენ ვამბობდით კიდევაც, რომ საჭიროა ზომების გამკაცრება და ასე შემდეგ. თუმცა ეს ყველაფერი ცარიელი ლაპარაკი იყო.

*– რატომ?*

– იმიტომ, რომ ბევრი ევროპის დიდ ქალაქებში იმდენი მიგრანტია დასახლებული არაბული ქვეყნებიდან სხვადასხვა დროს, რომ ეს პროცესი გახდა ძალიან მარტივი. არანაირ სირთულეს აღარ წარმოადგენს. რაც არ უნდა გაამკაცრონ უსაფრთხოების ზომები, მთლიანად ხომ ვერ მოიცავ არაბული წარმოშობის ყველა ადამიანს, რომლებიც ამ ქალაქებში ცხოვრობენ?!

*– ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ამერიკაში ამ მიდგომამ გაამართლა. გამკაცრებული ზომების ფონზე აღარ ხდება ტერაქტები. ევროპამაც იგივე ღონისძიებები უნდა გაატაროს, თან ისე, რომ ადამიანის უფლებები არ შელახოს. ეს შესაძლებელია?*

– სრულიად სხვადასხვა მდგომარეობაა ამერიკასა და ევროპას შორის. ევროპაში ბევრად უფრო მარტივია კონტროლი თუნდაც ჩამომსვლელების. გარდა ამისა, ამერიკაში არ არის ის რაოდენობა არაბებისა, რამდენიც არის ევროპაში, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არის საფრანგეთი, ესპანეთი, ბელგია, ჰოლანდია. იქ, პრაქტიკულად, არის ქალაქები, სადაც 70% მოსახლეობისა უკვე არაბია, მაგალითად, მარსელი. ასე რომ, ამის კონტროლი ძალიან რთულია. მაგრამ მე სულ სხვა რამეზე მაქვს ლაპარაკი.

ტერაქტი ბარსელონაში მოხდა იმიტომ, რომ ეს არის ბარსელონა! იქ არის გახურებული საკურორტო სეზონი და ბარსელონაში არიან თავმოყრილი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული ადამიანები! 25 ქვეყნის წარმომადგენელი დაზარალდა. რეზონანსულია ეს ტერაქტი. ტერაქტის დამგეგმავისა და შემსრულებლების ამოცანა სწორედ რეზონანსულობაა.

*– რატომ მაინცდამაინც სატვირთო მანქანებით შევარდნა? ეს ახალი სტრატეგიაა?*

– ჩვენ მიჩვეული ვართ, რომ ტერაქტი ხდება ასაფეთქებელი ნივთიერებით, რომლის შოვნაც სირთულესთან არის დაკავშირებული. როცა უსაფრთხოების ზომები გამკაცრდა ევროპაში, თვალყურის დევნება დაიწყეს ყველა იმ საწარმოსადმი, რომლებიც ამზადებენ ამ ნივთიერებას. ამიტომ მათთვის მარტივია სხვა ტიპის ხერხის გამოყენება, რომელიც დასაწყისშივე ეჭვს არ იწვევს.

*– მაგალითად?*

– მაგალითად, სატვირთო მანქანის ქირაობა. შაჰიდი შაჰიდია. ის თავს აიფეთქებს თუ მანქანით შევარდება, მისთვის მნიშვნელობა არ აქვს.



ეს უფრო მარტივი ხერხია, უფრო ნაკლებ ხარჯიანი და უფრო ნაკლებ საეჭვო.

*– კვლავაც პროგნოზირებადია ევროპაში ტერაქტები? და ძირითადად რომელი ქვეყნები წარმოადგენს მათ სამიზნეს?*

– ეს ტერაქტები აუცილებლად გაგრძელდება ევროპის იმ ქალაქებში, სადაც ტერაქტი უფრო რეზონანსული იქნება.

*– ევროპის დაპყრობაც არის მათი ამოცანა?*

– ის ამოცანა, რომ ევროპა დავიპყროთ ტერორიზმითა და იარაღით ხელში, ჯერ არ დგას, თორემ დემოგრაფიული და არეალის დაკავების თვალსაზრისით ეს პროცესი დიდი ხანია მიმდინარეობს. ჯერ კიდევ კადაფი ამბობდა 80-იან წლებში: ჩვენი ამოცანა ევროპის უსისხლოდ დაკავებაა! ეს გეგმა ხორციელდება მას შემდეგ და ეს პროცესი ძალიან ღრმად არის წასული. სკანდინავიამდეა მისული. ჯერჯერობით შედარებით მყარად დგანან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, განსაკუთრებით პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და უნგრეთი.

*– ტერორიზმის ერთ-ერთი ხელშემწყობი მიზეზი ევროპის ლიბერალური საემიგრაციო პოლიტიკაა?*

– რასაკვირველია. მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალებმა გარკვეული ფასეულობები შექმნეს, გააჩინეს ისეთი სხვა საფრთხეები, რომლებმაც ლამის დაღუპა მსოფლიო. ტრამპის მოსვლამ ამერიკის ხელისუფლების სათავეში და აქედან გამომდინარე კონსერვატორული განწყობების გაძლიერებამ ლიბერალიზმის დამუხრუჭება გამოიწვია ამერიკის შეერთებულ შტატებში და მომავალში გამოიწვევს მთელ მსოფლიოში.

*– რამდენად მოიწევს ტერორიზმის საფრთხე ჩვენკენ?*

– კი არ მოიწევს, აქ არის. უბრალოდ, ჯერჯერობით საქართველოსა და კავკასიის საკითხი აქტუალური ვერ გახდა, იმიტომ, რომ ნებისმიერი აქ მომხდარი აქტი რეზონანსული ვერ იქნება. მეორეც, ფუნდამენტალისტებისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ცენტრალურ აზიას, ვიდრე კავკასიას. 2010-12 წლებში, როდესაც ვითარება გამწვავდა სირიაში, მთავარი დამრტყმელი ძალა სწორედ კავკასიელები იყვნენ. მათი რიცხვი ძალიან შემცირდა, რადგან ძალიან ბევრი დაიღუპა.



დღეს კავკასია არ არის აქტუალური, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენთან ამ თვალსაზრისით მცოცავი ოკუპაცია არ მიმდინარეობს, თუმცა – დაბალ ტემპში. მე ტერაქტებს თბილისში არ ვვარაუდობ. თუ მოხდება, მხოლოდ უცხოური წარმომადგენლობების წინააღმდეგ. აქ მომხდარ ტერაქტს ისეთი რეზონანსი არ ექნება, როგორიც ამას ჰქონდა ბარსელონაში. ხვალ როგორი მდგომარეობა იქნება, დღეს ეს რთული სათქმელია. არ არის გამორიცხული, კონიუნქტურა შეიცვალოს.

# 2017 წლის ყველაზე გახმაურებული ტერაქტები

2017 წლის ტერაქტების სერია პირველ იანვარს თურქეთის ქალაქ სტამბოლში დაიწყო. ამ დროისთვის ბოლო ტერორისტული თავდასხმა 19 აგვისტოს რუსეთის ქალაქ სურგუტში მოხდა. გთავაზობთ ამ წლის ყველაზე გახმაურებული ტერორისტული აქტების ჩამონათვალს. დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა დაზუსტებულია მოგვიანებით.

**19 აგვისტო** – რუსეთი. ქალაქ სურგუტის ცენტრში დანით შეიარაღებული კაცი თავს დაესხა გამვლელებს. დაჭრა 7 ადამიანი, მათ შორის 4 მძიმე მდგომარეობაშია. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა აიღო ტერორისტულმა „ისლამურმა სახელმწიფომ“.

**18 აგვისტო** – ფინეთი. ქალაქ ტურკუში, მარკოს მოქალაქე თავს დაესხა ქუჩაში გამვლელებს. ბოლო ინფორმაციით, დაიღუპა 2, დაშავდა 10 ადამიანი.

**17 აგვისტო** – ესპანეთი. ბარსელონაში, მიკროავტობუსი რამბლეს ქუჩაზე ხალხის მასაში შევარდა. ბოლო მონაცემებით, დაიღუპა 15, დაშავდა 100 მეტი ადამიანი.

**4 აგვისტო** – ავღანეთი. ქაბულში სამხედრო კოლონაზე თავდასხმის შედეგად, დაიღუპა 3 მშვიდობიანი მოქალაქე, 5 ამერიკელი სამხედრო დაშავდა.

**2 აგვისტო** – ავღანეთი. ქალაქ ჰერატის შიიტურ მეჩეთში თვითმკვლელმა ტერორისტმა იქ მყოფთ ჯერ ცეცხლი გაუხსნა, შემდეგ კი თავი აიფეთქა. დაიღუპა, სულ ცოტა, 50 ადამიანი. ტერაქტზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

**28 ივლისი** – ნიგერია. „ბოკო ჰარამის“ ტერორისტების თავდასხმას ნავთობის კორპორაციის გეოლოგების ექსპედიციაზე 50 ადამიანი ემსხვერპლა.

**12 ივლისი** – ნიგერია. „ბოკო ჰარამის“ თვითმკვლელმა ტერორისტებმა, ქალაქ მაიდუგურის სხვადასხვა ნაწილში 4 თავდასხმა მოაწყვეს. დაიღუპა 17 ადამიანი, 21 დაშავდა.

**3 ივლისი** – სირია. დამასკოში, თვითმკვლელი ტერორისტის აფეთქების შედეგად, სულ ცოტა, 20 ადამიანი დაიღუპა.

**23 ივნისი** – პაკისტანი. ქალაქ ქუეტაში თვითმკვლელი ტერორისტის მიერ მოწყობილ აფეთქებას 12 ადამიანი ემსხვერპლა, 14 დაშავდა.

**18 ივნისი** – კოლუმბია. ბოგოტაში სავაჭრო ცენტრში მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა 3, დაშავდა, სულ ცოტა, 9 ადამიანი.

**16 ივნისი** – ავღანეთი. ქაბულში, შიიტურ მეჩეთში, აფეთქების შედეგად დაიღუპა, სულ მცირე, 6 ადამიანი, დაშავდა – 10. ტერაქტზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

**7 ივნისი** – ირანი. თეირანში აიათოლა ხომეინის მავზოლეუმზე და ირანის პარლამენტზე თავდასხმების შედეგად 16 ადამიანი დაიღუპა, 43 – დაშავდა. ტერაქტებზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

**3 ივნისი** – დიდი ბრიტანეთი. ლონდონში, ლონდონის ხიდზე, თეთრი ფერის მიკროავტობუსი ფეხით მოსიარულეებს დაეჯახა. დაიღუპა 8, დაშავდა 48 ადამიანი. ტერაქტზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

**3 ივნისი** – ავღანეთი. ქაბულში, დაკრძალვის ცერემონიალზე აფეთქების შედეგად სულ ცოტა 19 ადამიანი დაიღუპა.

**31 მაისი** – ავღანეთი. ქაბულში ძლიერი აფეთქება მოხდა პრეზიდენტის სასახლესთან და უცხო ქვეყნების საელჩოების მიმდებარე ტერიტორიაზე. დაიღუპა 80-ზე მეტი ადამიანი, 380 დაშავდა.

**26 მაისი** – ეგვიპტის პროვინცია ელმინიაში თავს დაესხნენ ავტობუსს, რომელსაც ქრისტიანი კოპტები ადგილობრივ მონასტერში გადაჰყავდა. სხვადასხვა ცნობებით, დაიღუპა 28-დან 35-მდე ადამიანი, 20-ზე მეტი დაშავდა.

**22 მაისი** – დიდი ბრიტანეთი. „მანჩესტერ არენაზე“, ამერიკელი მომღერლის არიანა გრანდეს კონცერტზე თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა. დაიღუპა 22 ადამიანი, მათ შორის 12 ბავშვი, დაშავდა დაახლოებით 120 ადამიანი.

**19 მაისი** – ერაყი. მოხდა ორი ტერაქტი: ერთი ბაღდადის შემოგარენში და მეორე ქალაქ ბასრას სამხრეთ ნაწილში. ორივე ტერაქტი დანაღმული მანქანებით თვითმკვლელებმა მოაწყვეს. ბაღდადში დაიღუპა 24 და დაშავდა – 20-მდე ადამიანი; ბასრაში დაიღუპა 11 და დაშავდა 30 ადამიანი.



**15 აპრილი** – სირია. ალეპოს დასავლეთით, ავტობუსებთან, რომლებსაც შიიტური დასახლების ევაკუირებული მცხოვრებლები გადაჰყავდა, აფეთქება მოხდა. ტერაქტის შედეგად დაიღუპა 150-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის 67 ბავშვი, დაშავდა დაახლოებით 200 ადამიანი.

**9 აპრილი** – ეგვიპტის ორ ეკლესიაში, რამდენიმე საათის სხვაობით, თვითმკვლელმა ტერორისტებმა აფეთქებები მოაწყვეს. ქალაქ ტანტას მთავარ ეკლესიაში, ბოლო ცნობებით, დაიღუპა 28 ადამიანი, დაახლოებით 80 დაშავდა; ალექსანდრიის ეკლესიის შესასვლელთან აფეთქებას ემსხვერპლა 17 ადამიანი, მათ შორის პოლიციის ოთხი თანამშრომელი.

**3 აპრილი** – რუსეთი. პეტერბურგის მეტროში აფეთქება მოხდა. ბოლო ინფორმაციით, დაიღუპა 16, დაშავდა – 50-ზე მეტი ადამიანი.

**22 მარტი** – დიდი ბრიტანეთი. ლონდონში ტერორისტი ავტომანქანით ჯერ ვესტმინსტერის ხიდზე ფეხით მოსიარულეებს დაეჯახა, ავტომანქანით პარლამენტამდე მივიდა და პოლიციელი, რომელმაც გააჩერა დანით მოკლა. ტერაქტს ემსხვერპლა 5 ადამიანი, 50 – სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე დაშავდა.

**15 მარტი** – სირია. დამასკოში ტერორისტმა-თვითმკვლელმა თავი აიფეთქა. ბოლო ინფორმაციით, დაიღუპა 35 ადამიანი, დაახლოებით 60 დაშავდა.

**11 მარტი** – სირია. დამასკოში ორი თვითნაკეთი ბომბის აფეთქების შედეგად, ბაბ აბ საგირის სასაფლაოსთან, დაიღუპა წმინდა სამარხების მოსანახულებლად ჩასული ერაყის 40-ზე მეტი მოქალაქე, 120 – დაშავდა.

**8 მარტი** – ავღანეთი. „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტები თავს დაესხნენ ქაბულის სამხედრო ჰოსპიტალს. დაიღუპა 30, დაშავდა 70 ადამიანი.

**24 თებერვალი** – სირია. ქალაქ ელ-ბაბის შემოგარენში საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან დანაღმული ავტომობილი აფეთქდა. ბოლო ინფორმაციით, დაიღუპა 60 ადამიანი, ათობით – დაშავდა. მოგვიანებით, კიდევ ერთ აფეთქებას 8 ადამიანი ემსხვერპლა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

**19 თებერვალი** – სომალი. მოგადიშოს ბაზარზე, სატვირთო მანქანაში ბომბის აფეთქების შედეგად, ბოლო ინფორმაციით, დაიღუპა 39 ადამიანი, დაახლოებით – 50 დაშავდა.

**16 თებერვალი** – პაკისტანი. სინდის პროვინციაში, სუფისტი ფილოსოფოსისა და პოეტის ლალა შაჰბაზ კალანდარის მავზოლეუმის ტერიტორიაზე აფეთქების შედეგად დაიღუპა 70-ზე მეტი ადამიანი. ტერაქტზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო

**5-16 თებერვალი** – ერაყი. ბაღდადის, დიდწილად შიიტებით დასახლებულ ორ რაიონში დანაღმული ავტომობილების აფეთქების შედეგად, ბოლო ინფორმაციით, დაიღუპა 56, დაშავდა 80-ზე მეტი ადამიანი. ტერაქტზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

**7 თებერვალი** – ავღანეთი. ქაბულში, უმაღლესი სასამართლოს შენობასთან თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა. ბოლო ინფორმაციით, დაიღუპა 22 ადამიანი.

**21 იანვარი** – პაკისტანი. ქალაქ პარაჩინარის ბაზარზე თვითნაკეთი ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპა 21, დაშავდა დაახლოებით 40 ადამიანი.

**18 იანვარი** – მალი. რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში, სამხედრო ბანაკის ტერიტორიაზე დანაღმული ავტომობილი აფეთქდა. დაიღუპა 77, დაშავდა 100-ზე მეტი ადამიანი.

**10 იანვარი** – ავღანეთი. ქაბულში, პარლამენტის შენობასთან ახლოს, ორი აფეთქება მოხდა. ბოლო მონაცემებით, დაიღუპა 51 ადამიანი. ტერაქტზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

**1 იანვარი** – თურქეთი. სტამბოლში, ღამის კლუბ ღეინა-ზე თავდასხმის დროს, ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 39, დაშავდა 69 ადამიანი. პასუხისმგებლობა ტერაქტზე „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

# „ქართული რესტორნების უმეტესობა საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს“

## მსოფლიო კულინარიული გიდი „გუი ენდ მიო“ საქართველოში შემოდის

ფრანგულ კატალოგ „გუი ენდ მიოს“ კულინარიის პროფესიონალები კარგად იცნობენ. კულინარიის გზამკვლევი 1965 წელს რესტორნის კრიტიკოსებმა ანრი გუიმ და კრისტიან მიომ დააარსეს. კატალოგი მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში ყოველწლიურად გამოიცემა და საუკეთესო რესტორნების, შეფ-მზარეულების, ახალგაზრდა ტალანტებისა და ქვეყნის კულინარიული ისტორიის შესახებ ინფორმაციას მოიცავს.
მსოფლიო ბრენდი მალე საქართველოში შემოვა. თემის დეტალებზე საქართველოში „გუი ენდ მიოს“ წარმომადგენელი თორნიკე ბახტურიძე საუბრობს.




***— საიდან გაჩნდა იდეა, რომ კულინარიის ყვითელი გზამკვლევი საქართველოში შემოსულიყო?***

— დღეს ყვითელი გზამკვლევი რესტორნების შეფასების აღიარებული, გავლენიანი და ავტორიტეტული გამოცემაა. ბრენდი უკვე 30-მდე ქვეყანაშია წარმოდგენილი და ეს რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება. პირობითად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო მასშტაბით არსებობენ ქვეყნები, რომლებსაც ეროვნული სამზარეულო და მდიდარი კულინარიული ტრადიციები გააჩნიათ და არიან ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც კულინარიული ტრადიციებით, თუ მაღალი დონის სამზარეულოთი შედარებით ნაკლებად გამოირჩევიან.

საქართველო კულინარიულ ქვეყნად ითვლება, რომელსაც მდიდარი ტრადიციები და მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, როგორც კულინარიის, ასევე ღვინის კუთხით. ამას ხელს ქვეყნის მდებარეობაც უწყობს. ყველაფერი ეს კი განმაპირობებელი იყო იმისა თუ რატომ დაინტერესდა ფრანგული ბრენდი საქართველოთი.

***— რა სეგმენტზე იქნება გამოცემა გათვლილი?***

— ზოგადად გამოცემა მოსახლეობის ყველა ფენაზეა გათვლილი, ვისაც კარგი და დახვეწილი საკვები უყვარს და პროფესიონალების სარესტორნო კრიტიკა აინტერესებს. ან უბრალოდ მათთვის, ვისაც აინტერესებს, სად ჭამოს გემრიელად.

***— რომელ ქვეყნებს მოიცავს აღნიშნული ბრენდი და რა არის ქვეყანაში მისი არსებობის უპირატესობა?***

— „გუი ენდ მიო“ წარმოდგენილია საფრანგეთში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, კანადაში, პოლონეთში, მაროკოში და სხვა.

მიმდინარე წელს საქართველოსთან ერთად, ბრენდს შეუერთდნენ რუსეთი, ისრაელი, მალდივისა და ანტილიის კუნძულები. შემდეგ წელს დაგეგმილია ათამდე ახალი ქვეყნის ბრენდის ოჯახში გაწევრიანება.

ზოგადად „გუი ენდ მიო“ არის ბრენდი, რომელიც არა კრიტიკაზე, არამედ რესტორნების მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. ჩვენი მიზანია ზოგადი კულინარიული დონის აწევა, კერძების ხარისხისა და გემოს ახალ დონეზე გაყვანა და მათი მთელი მსოფლიოსთვის გაცნობა. ამის ერთ-ერთი საშუალება კი რესტორნების ობიექტური შეფასება და საუკეთესო შეფ-მზარეულების გამოვლენაა.

რესტორნების კვალიფიციური საექსპერტო შეფასების მეშვეობით, შეიქმნება გამჭვირვალობა მთელ სექტორში და გაიზრდება ჯანსაღი კონკურენცია, როგორც შეფ-მზარეულებს, ასევე, რესტორნებს შორის.

***— როგორი იქნება „გუი ენდ მიოს“ ქართული გამოცემა და როდის იგეგმება მისი პრეზენტაცია?***

— ქართულ გამოცემაში წარმოდგენილი იქნება ქვეყნის საუკეთესო რესტორნები და ღვინოები, რომლებიც ბრენდის მიერ შეფასდება. შეფასება მრავალ კრიტერიუმს ითვალისწინებს, რის შედეგადაც ქულების მინიჭება ხდება. მხოლოდ ის რესტორნები, რომლებიც მიიღებენ ქულების ნახევარს და მეტს (10/20) ხვდებიან ჩვენს გზამკვლევში. სამწუხაროდ, ასეთი რესტორნების რაოდენობა დღესდღეობით ძალიან ცოტაა.

პრეზენტაცია 23 ოქტომბერს გაიმართება თბილისში. გახსნის ღონისძიებაზე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან, რომლებსაც დავაჯილდოვებთ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით, სხვადასხვა ქვეყნიდან ჟურნალისტები და რესტორნების კრიტიკოსები ჩამოვლენ. „გუი ენდ მიო“ ყველა ქვეყანაში ადგილობრივ ენაზე გამოიცემა, საქართველოში კი იგი რამდენიმეენოვანი იქნება.

***— რას მოუტანს საქართველოს კულინარიის ყვითელი გზამკვლევი და როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?***

— აღნიშნული ბრენდის ოპერირება ხელს უწყობს მომსახურების სფეროს და კულინარიული სექტორის განვითარებას. საქართველო ტურისტული ქვეყანაა და კულინარია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რითიც შეიძლება ტურისტების მოზიდვა. ეს გზამკვლევი კი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა კულინარიული თვალსაზრისით გამორჩეული ობიექტების ხელშეწყობისა და მოტივაციისთვის.

ძირითადი პრობლემა დღესდღეობით ის არის, რომ ქართული კულინარია გარკვეულწილად ერთფეროვანია და შედარებით ცოტაა ისეთი რესტორნები და შეფ-მზარეულები, რომლებსაც საკუთარი უნიკალური კერძი თუ ხელწერა გააჩნიათ. ქართული კულინარია თანამედროვე გამოწვევებს ვერ პასუხობს, რაც მთავარი მიზეზია იმისა, თუ რატომ არ არის ქართული სამზარეულო პოპულარული იმ ქვეყნებში, სადაც შედარებით მაღალი კონკურენცია და სტანდარტებია.

ქართული რესტორნების უმეტესობა საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს და ეს მარტო სერვისს თუ მსგავს კომპონენტებს არ ეხება, არამედ მომზადებული საჭმლის გემოვნურ თვისებებს, რასაც ბევრი უცხოელი აღნიშნავს. ამ შემთხვევაში პრობლემა უფრო მიდგომაშია, ვიდრე პოტენციალის არქონაში. საქართველოში ხშირ შემთხვევაში რესტორანი არ ითვლება ისეთ ადგილად, სადაც სახლში მომზადებულ კერძებზე უკეთესი ან უფრო გემრიელი კერძის დაგემოვნებაა შესაძლებელი, რაც ანომალიაა და სექტორის განვითარებას ხელს უშლის.

***— გამოდის, რომ „გუი ენდ მიო“ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ქართული კულინარიის პოტენციალის აღმოჩენაში დაეხმარება?***

— ევროპის ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ გაიარა განვითარების გზა და დღეს იქ კულინარია ხელოვნების დონემდეა აყვანილი, ამაში კი დიდი როლი სწორედ პროფესიონალურმა კრიტიკამ შეასრულა. შეუძლებელია, ინდივიდუალურმა მომხმარებელმა დააგემოვნოს თბილისის 500-600 რესტორანი იმის ასარჩევად, თუ რომელ რესტორნებზე ღირს აქცენტის გაკეთება. კერძების ერთფეროვნების გამო ხდება ტრადიციული ქართული სამზარეულოს კრიტიკა.

საქართველოში არ არის ჩამოყალიბებული ღვინის სმის კულტურა. მოსახლეობა სვამს ან დაბალი ხარისხის ღვინოს, ან სხვა მაღალ ალკოჰოლურ სასმელებს. მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია კერძების და ღვინის შეხამების შესახებ. ასევე ყურადღება გამახვილდება ქართული ღვინის ქვევრში დაყენების ტრადიციაზე, რომელიც უნიკალური და დიდი პოტენციალის მქონეა. მომავალი წლიდან ვაპირებთ, „გუი ენდ მიოს“ ტურები დავიწყოთ, რაც საქართველოს რეგიონების კულინარიული პოტენციალის აღმოჩენას და კულინარიაში რევოლუციური პროცესებისთვის ბიძგის მიცემას გულისხმობს.

გამოცემა საუკეთესო ქართულ რესტორნებსა და ღვინოებს მთელ მსოფლიოს წარუდგენს ჰარმონიზებული ვებგვერდისა და მობილური აპლიკაციის საშუალებით.

**ბიზნესმედია**

# კობა გვენეტაძე: „დეტალურად გაეცანით ახალ წესებს“

## ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მოსახლეობას მიმართავს

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე მომხმარებლების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ძალაში შესულ ცვლილებებზე წერს და მომხმარებელს მოუწოდებს, რაც შეიძლება დეტალურად გაეცნონ ახალ წესებს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი განმარტავს, რომ ახალი წესების დეტალურად გაცნობა მომხმარებელს თავიდან აარიდებს პრობლემებს.



— საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მომხმარებელთა უფლებების დაცვაა. ბოლო პერიოდში არაერთი ნაბიჯი გადავდგით ამ მიმართულებით.

2017 წლის 1 ივნისიდან საფინანსო სექტორის მომხმარებლებისთვის ახალი წესები ამოქმედდა. აღნიშნული რეგულაციების გათვალისწინებით მომხმარებელს საშუალება აქვს მოითხოვოს და მიიღოს ხელშეკრულების ნიმუში ხელმოწერამდე; თავდებმა და/ან სოლიდარულმა მოვალემ მიიღოს საკრედიტო ხელშეკრულების ასლი; უფასოდ მიიღოს ინფორმაცია ერთი დისტანციური არხით; გარკვეულ შემთხვევებში წინსწრებით უფასოდ დაფაროს სესხი და სხვა მრავალი წესი, რომელიც მორგებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე.

ჩემი თხოვნა და რჩევაა, რომ დეტალურად გაეცნოთ ახალ წესებს, რათა თავიდან აირიდოთ გაუთვალისწინებელი პრობლემები და უკეთ იცოდეთ თქვენი უფლებები: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3500606

აქვე მსურს აღვნიშნო, რომ თუკი ფინანსურ ორგანიზაციასთან პრობლემა შეგექმნათ, შეგიძლიათ თქვენი პრეტენზია დააფიქსიროთ ზეპირად, წერილობით ან ელექტრონულად. ასევე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ეროვნული ბანკის ცხელ ხაზზე – 2 406 406 ან მოგვწეროთ cp@nbg.gov.ge, – წერს კობა გვენეტაძე.

# თბილისი-რუსთავის გზის რეკონსტრუქციის გამო ქონება იძულებით კიდევ 1 კომპანიას ჩამოერთმევა




თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტის გამო შპს „არჯევანის“ ქონება ექსპროპრიაციას (საკუთრების ძალადობრივი ჩამორთმევა სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებით ან მის გარეშე) დაექვემდებარება.

როგორც ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ჯავახაძის ბრძანებაში ვკითხულობთ, კომპანიის საკუთრებაში არსებული 4.991.00 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობიდან ექსპროპრიაციას მხოლოდ 536 კვ მეტრი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა ექვემდებარება.

რაც შეეხება შეუთანხმებლობის მიზეზს, მესაკუთრეს მიაჩნია, რომ ავტომაგისტრალი 2.5 მეტრით უახლოვდება მის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობას და უთანაბრდება მას. შესაბამისად, ვიბრაციამ და ხმაურმა, შესაძლოა, შენობაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს.

თბილისი-რუსთავის გზის რეკონსტრუქციის პროექტი 17.1 კმ სიგრძის 2-ზოლიანი გზის I კატეგორიის 4-ზოლიან გზატკეცილად გაფართოებას ითვალისწინებს, რომლის საპროექტო სიჩქარე საერთო დაგეგმილი სიჩქარით 120 კმ/სთ-ია.

ცნობისთვის, აღნიშნული პროექტის გამო ქონება კიდევ ორ კომპანიას შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასა“ („გალფი“) და შპს „ავზი-94“-ს ჩამოერთმევათ.

**ბიპიენი**

# დარიალის მონასტრის გზის რეაბილიტაცია ოქტომბერში დასრულდება



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რეგიონებში პროექტების მონიტორინგს განაგრძობს. ზურაბ ალავიძემ ყაზბეგში, დარიალის მონასტრის რეზიდენციამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაათვალიერა, სადაც საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოები მიმდინარეობს.

„აღნიშნულ მონაკვეთზე იგება ბეტონის საფარი და ხდება ქვაფენილებით მოწყობა. ასევე, მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილია ავტოსადგომისა და სადრენაჟე სისტემის მოწყობა. სამუშაოები ოქტომბერში დასრულდება, რომლის შედეგად ადგილობრივებს, მომლოცველებსა და ტურისტებს მონასტრამდე მისვლის პრობლემა აღარ ექნებათ.

პროექტს მსოფლიო ბანკი 1,5 მილიონი ლარით აფინანსებს. სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

**ბიზნესმედია**

# ნალენჯიხა-ჩხოროწყუს გზა სექტემბერში აღდგება

წალენჯიხა-ჩხოროწყუს დამაკავშირებელი 10 კმ-იანი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია სექტემბერში დასრულდება.



საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, აღნიშნული საავტომობილო გზის მონაკვეთზე დაიგება ასფალტის საფარი და მოეწყობა სანიაღვრე არხები.

– პროექტის შედეგად, სრულად მოწესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა და ადგილობრივები კომფორტული გზით შეძლებენ გადაადგილებას. სამუშაოები ხორციელდება ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით და მისი ღირებულება 3 მლნ ლარამდეა. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 2013 წლიდან დღემდე რეაბილიტაციის ფარგლებში დაიგო 156.3 კმ გზა, – ნათქვამია განცხადებაში.

# საქართველოდან ყველაზე მეტი თანხა რუსეთში ირიცხება

საქართველოდან ყველაზე მეტი თანხა რუსეთში ირიცხება.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, ივლისში საქართველოდან რუსეთში 7,6 მლნ დოლარი გადაირიცხა. 1,1 მლნ დოლარის გზავნილი განხორციელდა თურქეთში, ხოლო 1,4 მლნ დოლარის უკრაინაში.

ივლისში აშშ-ში ქართველებმა 254 ათას დოლარზე მეტი გადარიცხეს, ხოლო ხოლო იტალიაში 280 ათას დოლარზე მეტი.

საქართველოდან საბერძნეთში ივლისში ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი გადაირიცხა.

ივლისში საქართველოდან საზღვარგარეთ 15.8 მლნ აშშ დოლარი (38.0 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 15.7 მლნ აშშ დოლარისა (36.8 მლნ ლარისა) გასული წლის ივლისში.

# პროკურორი შაიშმელაშვილი: „კახა ძნელაძის მკვლელობას მისი ცოლი, ვანდა იმნაძე, შეესწრო, რომელმაც მკვლელში მიხეილ იაშვილი ამოიცნო“

19 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ ჭონქაძის ქუჩაზე კახა ძნელაძის მკვლელობაში ბრალდებულ მიხეილ იაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ამით მოსამართლე ქეთევან ჯაჭვაძემ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და უარი უთხრა დაცვის მხარეს, რომელმაც სასამართლოს 10.000-ლარიანი გირაო შესთავაზა.

სასამართლოს განცხადებით, 16 აგვისტოს, თბილისში, ჭონქაძის ქუჩაზე, ბრალდებულმა მიხეილ იაშვილმა, შურისძიების მოტივით, კახა ძნელაძეს ცეცხლსასროლი იარაღიდან ზურგში სიცოცხლისათვის შეუთავსებელი დაზიანებები მიაყენა. დანაშაულის ჩადენის შემდეგ ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სასამართლომ მხარეთა განმარტებების მოსმენის, წარმოდგენილი მასალების, შუამდგომლობის დასაბუთებულობის შესწავლისა და შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფაქტობრივი, ისე ფორმალური საფუძვლები.

კერძოდ, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბრალდებულს ბრალად ედება სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის შესაძლო ჩადენა. სასამართლომ გაითვალისწინა ქმედების სპეციფიკა, გარემოებები, დამდგარი მძიმე შედეგი, ასევე, ბრალდებულის მხრიდან მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენისა და საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებისათვის ხელშეშლის საფრთხეები და მიხეილ იაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეუფარდა.



ჯულიეტა იაშვილი: „ჩემი ქმარი, მიხეილ იაშვილი, მკვლელობის დროს სახლში იყო“

მოცემულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა 2017 წლის 5 ოქტომბერს 12:00 გაიმართება.

– აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, – აღნიშნულია სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



მიხეილ იაშვილის ადვოკატები საქალაქოს სასამართლოს გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

როგორც ჟურნალისტებს პროცესის დასრულების შემდეგ ბრალდებულის ერთ-ერთმა ადვოკატმა დავით ცინცქილაძემ განუცხადა, აღნიშნულ გადაწყვეტილებას დაცვის მხარე უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს და სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრებს.

ამასთან, ადვოკატი ცინცქილაძე განმარტავს, რომ ჭონქაძის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში მისი კლიენტი უდანაშაულოა და მიხეილ იაშვილის ამ საქმეში ბრალეულობას ვერც პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ამყარებს.

* * *

19 აგვისტოს სასამართლოს სხდომამ სკანდალურად ჩაიარა.

ბრალდებული მიხეილ იაშვილი, რომელიც კახა ძნელაძის მკვლელობის ბრალს არ აღიარებს და პროტესტის ნიშნად მშრალი შიმშილობა აქვს გამოცხადებული, სასამართლო პროცესის დაწყებამდე და სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას რამდენიმეჯერ შეუძლოდ გახდა. ამის გამო სასამართლოში სასწრაფო დახმარების ბრიგადა მივიდა, სხდომაზე კი შესვენება გამოცხადდა.

სხდომის განახლების შემდეგ კი საქალაქო სასამართლოში კახა ძნელაძის მეუღლე, ვანდა იმნაძე, მივიდა. ის სასამართლოს იმ დარბაზში აპირებდა შესვლას, სადაც ბრალდებულ მიხეილ იაშვილს სასწრაფო დახმარების ბრიგადა დახმარებას უწევდა.

ვანდა იმნაძეს უშუალოდ ბრალდებულთან მისვლა სურდა, თუმცა ამის საშუალება მას სამართალდამცველებმა და მანდატურებმა არ მისცეს.

– ორმეტრიანი კაცი მიწევს სახლში, ამის მოკლული, – განაცხადა ვანდა იმნაძემ.

გარდაცვლილის მეუღლემ ბრალდებულის ადვოკატსაც მიმართა.

– მკვლელს რომ იცავ, როგორ მიყურებ თვალებში, გულგაგლეჯილი ქმარი მიწევს. არსებობს ადამიანური მორალი, რომელიც არ გაგაჩნია, – უთხრა ვანდა იმნაძემ იაშვილის ადვოკატს.

კახა ძნელაძის მეუღლემ ჟურნალისტებთან ძნელაძე-იაშვილის დაპირისპირების მიზეზებზეც ისაუბრა.

მისი თქმით, მოკლულსა და მკვლელობაში ბრალდებულს დაპირისპირება ტაქსების ბიზნესის გაყოფის გამო კი არ ჰქონიათ, არამედ, იმის გამო, რომ იაშვილი ტაქსებს ფულს სძალავდა.

– ჩემი ქმარი იმიტომ კი არ ეჩხუბა და სცემა მაგას, რომ ბიზნესი ვერ გაიყვეს. იმიტომ ეჩხუბა, რომ ეგ ფულს ართმევდა ტაქსებს, – განაცხადა ვანდა იმნაძემ.

* * *

მიხეილ იაშვილის მეუღლე ჯულიეტა იაშვილი აცხადებს, რომ მისი მეუღლის დაკავების შემდეგ სამართალდამცველები მას გამოძიებასთან თანამშრომლობას იძულებით სთხოვდნენ.

როგორც ჯულიეტა იაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, სამართალდამცავებმა მას განუმარტეს, რომ ჩვენებაში თუკი იმას არ დაწერდა, რასაც უთითებდნენ, მის მეუღლეს პატიმრობა 15-დან 20 წლამდე შეეფარდებოდა.

მისივე თქმით, აღნიშნულ მკვლელობის საქმეში მისი მეუღლე უდანაშაულოა და, შესაბამისად, გამოძიებასთან თანამშრომლობას არ აპირებს.

გარდა ამისა, ჯულიეტა იაშვილის განმარტებით, მკვლელობის დროს, მისი მეუღლე სახლში იმყოფებოდა. მისივე თქმით, მიხეილ იაშვილი არის შშმ პირი და გადაადგილება უჭირს.

ამასთან, ჯულიეტა იაშვილმა აღნიშნა, რომ მის მეუღლეს მოკლულ კახა ძნელაძესთან წარსულში არანაირი კონფლიქტი არ ჰქონია.



ვანდა იმნაძე: „ჩემმა ქმარმა მიხეილ იაშვილს სცემა, რადგან ის ტაქსებს ფულს სძალავდა“

* * *

ჭონქაძის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის პროკურორის, გია შაიშმელაშვილის, განცხადებით, ამ დროისთვის მოპოვებული მტკიცებულებების თანახმად, კახა ძნელაძის მკვლელობის საქმეში მიხეილ იაშვილის ბრალეულობა იკვეთება.

როგორც პროკურორმა ჟურნალისტებს სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ განუცხადა, სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურორების მტკიცებულებები და მიიჩნია, რომ ამ ეტაპისთვის ბრალდებულის მიმალვის, მტკიცებულებათა განადგურებისა და მოწმეებზე ზეწოლის საფრთხე არსებობს და, შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა გამოიყენა.

რაც შეეხება მოტივს, პროკურორის განმარტებით, მკვლელობის მოტივი ბრალდებულსა და მოკლულს შორის წარმოშობილი კონფლიქტი იყო, თუმცა რა საკითხზე, ბრალდება გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ აკონკრეტებს.

ამასთან, პროკურორის თქმით, საქმეში გარდაცვლილის მეუღლის ჩვენება დევს, სადაც ვანდა იმნაძე ამბობს, რომ მკვლელობას შეესწრო და ჩაფხუტითა და მოპედით, რომლითაც, მისივე თქმით, მამაკაცი გადაადგილდებოდა, მიხეილ იაშვილი ამოიცნო.

ბრალდებულის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ მიხეილ იაშვილი შშმ პირია, ხელჯოხით გადაადგილდება და, შესაბამისად, მოპედის მართვა არც შეეძლო.

ამ საკითხთან დაკავშირებით პროკურორი განმარტავს, რომ „ამ ეტაპისთვის შექმნილია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რომ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედება სწორედაც, მიხეილ იაშვილმა ჩაიდინა“.

– მისი გადაადგილების შესაძლებლობები, რა თქმა უნდა, იქნება გამოძიების საგანი და, შესაბამისად, მიიღება გადაწყვეტილება, – განაცხადა პროკურორმა შაიშმელაშვილმა.

რაც შეეხება ბრალდებულის მიერ სხდომაზე გაჟღერებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვით, მას საგამოძიებო უწყებაში გადაყვანისას ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს, პროკურორის განმარტებით, ამ საკითხზე ჯერ არავინ დაკითხულა, თუმცა აღნიშნულს გამოძიება შეისწავლის.

პროკურორმა ჟურნალისტებს არ უპასუხა კითხვაზე, დევს თუ არა საქმეში სათვალთვალო კამერების ჩანაწერი.

მისივე განმარტებით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებზე ვერ ისაუბრებს.

# შესაძლო ფინანსური დარღვევები ჯემ ფესტის ფარგლებში – საგამოძიებო სამსახური განცხადებას ავრცელებს




ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ჯემ ფესტის ფარგლებში შესაძლო ფინანსური ხასიათის დარღვევებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

როგორც უწყებაში აცხადებენ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 2017 წლის 14 ივლისიდან 14 აგვისტომდე პერიოდში, შპს „არტ პლატფორმას“ მიერ ჩატარებული ელექტრონული მუსიკის ფესტივალის, ჯემ ფესტის, ფარგლებში შესაძლო ფინანსური ხასიათის დარღვევებთან დაკავშირებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ქონების მესაკუთრის ან მფლობელის ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, დიდი ოდენობით) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, გამოძიება დაიწყო.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიების პროცესში, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით, მოსამართლის განჩინებებისა და შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე, ამოღებულია ჯემ ფესტის ორგანიზებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებული დოკუმენტები და ინფორმაციის შემცველი კომპიუტერული ტექნიკა. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ფესტივალის ორგანიზატორების და აღნიშნულ ღონისძიებაში ჩართული მეწარმეების გამოკითხვა. გამოძიების პროცესში, 2017 წლის 18 აგვისტოს, საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, მოწმის სტატუსით გამოიკითხა შპს „არტ პლატფორმას“ დირექტორი გიორგი სიგუა.

მოპოვებული ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ასევე მოწმეთა ჩვენებების გათვალისწინებით, გატარებული იქნება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.

აღნიშნული საქმის მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, საგამოძიებო სამსახური საზოგადოებას პერიოდულად მიაწვდის ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობის და შედეგების შესახებ. ამასთან, საგამოძიებო სამსახური გამოთქვამს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში, კომპანიიდან ამოღებული კონკრეტული დოკუმენტაციის ასლები შპს „არტ პლატფორმას“ გადასცეს.

# პოლიცია პროსტიტუციის წინააღმდეგ



17 აგვისტოს თბილისში, პუშკინის ქუჩაზე, 10 ნომერში მდებარე მასაჟის სალონში პოლიციამ საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა.

აღნიშნული სალონიდან გამოიყვანეს 7-მდე ახალგაზრდა ქალი და დაკითხვაზე გადაიყვანეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის გამომძიებელმა დიანა როსტიაშვილმა განუცხადა, გამოძიება 254-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემას ითვალისწინებს.

18 აგვისტოს თბილისში, ნიკო ნიკოლაძის №5-ში მდებარე მასაჟის სალონში მსგავსი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა, რის შემდეგაც 5 ჩინელი ქალი პოლიციამ გამოკითხვაზე გადაიყვანა.

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის მუხლით მიმდინარეობს.

# შსს-მ „ნიკორას“ დაყაჩაღების ფაქტი გახსნა



თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისან-სამგორის სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული ა.ო. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ შეიარაღებული ბრალდებული თბილისში, გორგასლის ქუჩაზე მდებარე „ნიკორას“ მაღაზიას თავს დაესხა, ფული გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

უწყებაში განმარტავენ, რომ სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან მეორე დღეს, თბილისში დააკავეს. გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლით მიმდინარეობს.

# ჩეჩნეთის პროკურატურა ისლამური სახელმწიფოს საიტების დაბლოკვას მოითხოვს

მარიამ მჭედლიშვილი



ბევრჯერ თქმულა, რომ საქართველო არ წარმოადგენს ტერორისტული დაჯგუფება ისლამური სახელმწიფოს პირდაპირ სამიზნეს.

ბოლოდროინდელი კვლევები ადასტურებს, რომ ტერაქტების ბრძანება ყოველთვის „ზევიდან“ არ მოდის და ხალხს მხოლოდ წინასწარ დაგეგმილ ადგილებში არ ხოცავენ. ტერაქტის ინიციატორი ხანდახან ხდება ენთუზიასტი თვითმკვლელი რადიკალი ისლამისტი, რომელიც „შეიხებისაგან“ საამისოდ ნებართვას იღებს.

ასე მოხდა მანჩესტერის შემთხვევაში. ტერორისტული ქსელი თითქმის მთელ მსოფლიოს სწვდება. სისხლიანი დაჯგუფების წევრებს არ უჭირთ ერთმანეთთან დისტანციურად ურთიერთობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ინციდენტებისაგან არცერთი სახელმწიფო არ არის დაზღვეული.

ბარსელონაში მომხდარი ტერაქტის გამოძიება გრძელდება. ესპანური მედიის ცნობით, ტერორისტებს თავდაპირველად სხვა ჩანაფიქრი ჰქონდათ. მათ იერიში უნდა მიეტანათ სამ პუნქტზე. მათ შორის, ბარსელონის საგრადა ფამილიას ტაძარზე. მათი გეგმები შემთხვევითმა აფეთქებამ შეცვალა, რომელიც მათ საცხოვრებელ სახლში, ალკანორში მოხდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ასაფეთქებელ ნივთიერებას, რომელსაც ტერორისტები საცხოვრებელში ინახავდნენ, ტერორისტული აქტებისას იყენებს ისლამური სახელმწიფო.

ბარსელონის კვალდაკვალ, ცივი იარაღის გამოყენებით გამვლელებზე თავდასხმა მოხდა ფინეთში, ასევე რუსეთის ქალაქ სურგუტში.

სურგუტში დანებით შეიარაღებული ახალგაზრდა ქუჩაში ხალხს დაერია. მან შვიდი მოქალაქე მძიმედ დაჭრა. ძალოვნებმა სპეცოპერაციისას მისი ლიკვიდაცია მოახდინეს.

მომხდარზე პასუხისმგებლობა აიღო ისლამურმა სახელმწიფომ. დადგინდა, რომ თავდამსხმელი 19 წლის არტურ გაჯიევია. ოჯახი დაღესტნიდანაა. მისი მამა აყვანილია აღრიცხვაზე და ექსტრემისტად ითვლება.

ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ისლამური სახელმწიფოს მიერ ახალი პირების გადაბირების აღკვეთაზე. ამისთვის გამოიყენება სოციალური ქსელებიც.

ჩეჩნეთის პროკურატურამ ორი დღის წინ გამოააშკარავა 3 ინტერნეტგვერდი ისლამური სახელმწიფოს შესახებ და მოითხოვა ამ საიტების დაბლოკვა.

ამ მიზნით პროკურატურამ გროზნოს ერთ-ერთი რაიონის სასამართლოს მიმართა. სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ინტერნეტპროვაიდერები ვალდებული იქნებიან, დაბლოკონ წვდომა ექსტრემისტულ მასალებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი პასუხს ადმინისტრაციული წესით აგებენ.

ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისათვის სერიოზულ პრობლემად იქცა იქაური ბავშვების ყოფნა ახლო აღმოსავლეთში. ზოგიერთი მათგანი რადიკალ ისლამისტებთან წასულმა ოჯახმა წაიყვანა, ზოგი კი – ოჯახიდან წასულმა „ბოევიკმა“ მამამ.

რამდენიმე დღის წინ გროზნოს ქუჩებში გაიმართა ქალების მსვლელობა სირიიდან და ერაყიდან ბავშვების დაბრუნების მოთხოვნით. ისინი დახმარებას ხელისუფლებისაგან ითხოვენ. ჩეჩნეთის ხელისუფლება, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ასევე ერაყისა და იორდანიის წარმომადგენლები ერთად ეძებენ გამოსავალს. ბავშვებს, მეტწილად, არ გააჩნიათ საბუთები. მათი იდენტიფიცირებისათვის საჭიროა ექსპერტიზა. ბავშვების ნაწილი თავშესაფარშია, ნაწილი – მშობლებთან ერთად სამხედრო ციხეებში.

ცოტა ხნის წინ მოსულში აღმოაჩინეს დაღესტნელი დაჭრილი გოგონა, რომელსაც დედა დაეღუპა, მამის ადგილსამყოფელი უცნობია. ახლო აღმოსავლეთიდან 5 ბავშვის გადმოცემის საკითხი გადაწყვეტილია. 213 არასრულწლოვანს მხოლოდ დაღესტნიდან ეძებენ.

# ტერაქტი ტურკუში



ფინეთის ქალაქ ტურკუში 13 წლის მაროკოელი მოზარდი დანით თავს დაესხა გამვლელებს. პოლიციამ თავდამსხმელი დაჭრა და განაიარაღა. ყმაწვილი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდა.

თავდაპირველი ვერსია შემდეგი იყო: სიმთვრალის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაული. ეჭვები მოგვიანებით აღიძრა, როცა რიგი დეტალი გამოიკვეთა.

– ეს იყო ტერაქტი, რომლის უკანაც ისლამისტი-ტერორისტები დგანან, – აცხადებს ფინეთის შინაგან საქმეთა მინისტრი რისიკო.

მინისტრის აზრით, ტურკუსა და ბარსელონის ტერაქტები ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

– ეს ერთი ჯაჭვის რგოლია, – ამბობს რისიკო.

# ერდოღანი გაბრიელის წინააღმდეგ



გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაბრიელმა თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანს გერმანიის არჩევნებში ჩარევის ბრალდება წაუყენა.

როგორც ცნობილია, ერდოღანმა გერმანიაში მცხოვრებ თურქებს მოუწოდა, არჩევნებზე ხმა არც ანგელა მერკელს მისცენ, არც სოციალ-დემოკრატების ლიდერ შულცს.

– ეს სხვა არაფერია, თუ არა გერმანიის არჩევნებში ჩარევა, – განაცხადა გაბრიელმა.

ერდოღანი ამან განარისხა. მან გაბრიელს ფრიად ტემპერამენტიანი პასუხი გასცა:

– იცი რა, ბატონო მინისტრო? შენი ადგილი უნდა იცოდე! მე თურქეთის პრეზიდენტი ვარ. შენ თუ ლაპარაკი გინდა, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს უნდა მიმართო! მე შენი ტოლი არა ვარ! – თქვა ერდოღანმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# სურგუტში მამაკაცმა გამვლელები დაჭრა

რუსეთის ქალაქ სურგუტში ტერაქტი მოხდა. დანით შეიარაღებული მამაკაცი გამვლელებს თავს დაესხა. მან ათი ადამიანი დაჭრა. ყველა მათგანი საავადმყოფოშია გადაყვანილი. რამდენიმე დაჭრილის მდგომარეობა მძიმეა.

– პოლიციელებმა თავდამსხმელი მოკლეს. ის სურგუტის მცხოვრებია, – აცხადებენ ქალაქის შსს-ს პრესცენტრში.



ამავე დროს, დამოუკიდებელი წყაროები ამტკიცებენ, რომ თავდასხმა დანებით შეიარაღებულმა ათკაციანმა ჯგუფმა განახორციელა. ყველა მათგანს ნიღაბი ეკეთა. ჯერ თავს დაესხნენ ქალს, რომელიც ბანკომატიდან ფულს იღებდა, შემდეგ – გამვლელებს.

– არცერთი თავდამსხმელი არ არის დაკავებული, – ამტკიცებენ ჟურნალისტები.

ისლამურმა სახელმწიფომ სურგუტის ტერაქტთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა აიღო.

– ეს არის შურისძიება სირიისთვის, – აცხადებენ ექსტრემისტები.

# ნეონაცისტების აქცია ბერლინში

ბერლინში ნეონაცისტებმა ჰიტლერის მოადგილე რუდოლფ ჰესის ხსოვნის აქცია გამართეს. მათ შპანდაუს ციხესთან მოტოციკლეტებით მსვლელობა მოაწყვეს. ჰესი სწორედ ამ ციხეში გარდაიცვალა. მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.



პოლიციელებმა აქციის მონაწილეებს განუმარტეს, რომ მათ შეუძლიათ, ჰესის ხსოვნის მარში მოაწყონ, მაგრამ მისი ქება-დიდების გარეშე.

– ჰესი ნაცისტი დამნაშავეა. მისი განდიდებაც დაუშვებელია, – განაცხადეს გერმანელმა პოლიციელებმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.**

**ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.**

**მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა,კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ტორპედომ დილას უმაყურებლოდ მოუგო, აჭარულ დერბიში ბათუმელებმა იმარჯვეს

<u>**ტორპედო-დილა 2:1**</u>

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

0:1 ნუბიო (34), 1:1, 2:1 კუხიანიძე (48პ, 50)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ხურცილავა, ჭიჭინაძე, გ.გურული, ქიმაძე, ფალავანდიშვილი, ბაბუნაშვილი (გიგაური 61), კუტალია, დოლიძე (კორობკა 77), ტულუში (კუჭუხიძე 46), კუხიანიძე

**დილა:** მუჯრიშვილი, პაპავა, რაზმაძე, ფანცულაია (ტარაველიე 76), კუსიანი (კვახაძე 62), აბუბაკარი, სოფრომაძე, კირკიტაძე, ფლავიო, ძარია, პედრინიო (დერეტი 71)

სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ტორპედო მატჩს უმაყურებლოდ ატარებდა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია რიონისპირელებისთვის, კარგად ეთამაშათ და შეხვედრა მოეგოთ. ტორპედო მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას, მეტოქეს ჯობდა და მიუხედავად იმისა, რომ თავიდან აგებდნენ, 3 ქულა ჩაიწერეს აქტივში.

გორის დილას კი, მთავარი მწვრთნელის გიორგი დარასელიას ხელმძღვანელობით, ქულა არ აუღია – 5 მარცხი განიცადა.

ტორპედო საწყისი წუთებიდანვე ფლობდა უპირატესობას, მაგრამ გოლი მათ კარში გავიდა: კვასხვაძის მოგერიებულ ბურთთან ყველაზე სწრაფად ფლავიო ნუბიო გაჩნდა, რომელმაც დაუცველ კუთხეში გადაგზავნა – 0:1 და ტაიმიც ასე დამთავრდა.

შესვენების შემდეგ ტორპედომ 2 სწრაფი გოლი გაიტანა: ჯერ გიორგი პაპავამ საკუთარ საჯარიმოში ლევან კუტალიას წინააღმდეგ ორთაბრძოლისას თამაშის წესები დაარღვია და 11 მეტრიდან გიორგი კუხიანიძემ ზუსტად დაარტყა, შემდეგ კი ტორპედოელთა მე-10 ნომერმა დუბლი შეასრულა, როდესაც შოთა ბაბუნაშვილის პასის შემდეგ ტექნიკური დარტყმით დააწინაურა თანაგუნდელები – 2:1.

დილას მხოლოდ ერთხელ მიეცა ანგარიშის გათანაბრების შანსი, როდესაც საჯარიმოში მყოფ გიორგი ფანცულაიას დარტყმის საშუალება მისცეს, მაგრამ გორელთა შემტევს სიზუსტე დააკლდა. ანგარიშის სათავისოდ შეცვლის შანსი ტორპედოელებსაც ჰქონდა, მაგრამ ზედმეტი მოსდიოდათ და რამდენიმე შანსი გაანიავეს.

<u>**საბურთალო-სამტრედია 1:1**</u>

**პეტრო-არენა**

1:0 ვოლკოვი (19), 1:1 საბანაძე (52)

**საბურთალო:** კუპატაძე, იაშვილი, მარგველაშვილი (თედ.გრიგალაშვილი 46), ცნობილაძე, ლაკვეხელიანი (ნადარაია 67), თარხნიშვილი, მამუჩაშვილი, ხარაიშვილი, შინდაგორიძე, მუეცი (ჩაბრაძე 57), ვოლკოვი

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მჭედლიშვილი, სანდოხაძე (გოგიაშვილი 14), კასრაძე, ბალდე, დათუნაიშვილი, მანჯგალაძე (ჯიქია 74), მარკოზაშვილი, გი, რაჟამაშვილი, საბანაძე

საინტერესო მატჩი გამოდგა, მაგრამ თითქმის მთელი მატჩი დაბალ ტემპში მიმდინარეობდა. პირველ ტაიმში მასპინძლები დაწინაურდნენ, მეორეში კი, სტუმრებმა გამთანაბრებელი გოლი გაიტანეს.

საბურთალოელებმა გოლი 19-ე წუთზე გაიტანეს – ლაშა შინდაგორიძის ჩაწოდების შემდეგ, დავით ვოლკოვმა თავით მეტოქის კარში მიუჩინა ბურთს ადგილი. მალე მასპინძლებს ანგარიშის ორამდე გაზრდაც შეეძლოთ, მაგრამ გიორგი ხარაიშვილის დარტყმული მცირედით ასცდა მეტოქის კარს.



მეორე ნახევრის დებიუტში სტუმრებმა გაათანაბრეს ანგარიში – გიული მანჯგალაძის ჯარიმიდან დარტყმის შემდეგ ბურთი ხარიხამ აისხლიტა, გადმოვარდნილზე კი ყველას ნიკოლოზ საბანაძემ დაასწრო და ანგარიში გაათანაბრა.

უნდა ითქვას, რომ რამდენიმე ეპიზოდში ბრწყინვალე რეაქცია გამოავლინა საბურთალოს მეკარე ლაზარე კუპატაძემ, რომელმაც რთულად ასაღები ბურთები მოიგერია. საბოლოოდ 1:1.

<u>**დინამო (ბთ)-შუქურა 3:2**</u>

**ბათუმი. რაგბი არენა**

1:0 სუხიაშვილი (2), 2:0 კვასოვი (33), 3:0 მგელაძე (44), 3:1 ჩაგელიშვილი (46), 3:2 მარსელინიო (68)

**დინამო:** შოვნაძე, ფარტენაძე, მახარაძე, შონია, სუხიაშვილი, ჩოგაძე, ე.გრიგალაშვილი (თევდორაძე 79), მგელაძე, არზიანი (ვარშანიძე 61), კვასოვი, კვანტალიანი (ფლამარიონი 87)

**შუქურა:** მილნიჩენკო, ჩადუნელი, ჩაგელიშვილი, ჯეფინიო, კლიმიაშვილი, მარსელინიო (გოგიაშვილი 84), ა.გურული (თუხარელი 65), კახელიშვილი (შალამბერიძე 78), დასე, გოგიტიძე, ჩაჩუა

აჭარული დერბი თვალსასეირო და უხვგოლიანი გამოდგა. პირველ ტაიმში დინამომ 3 გოლი გაიტანა და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყვიტა, მაგრამ შესვენების შემდეგ გიორგი შაშიაშვილის გუნდმა 2-ჯერ უპასუხა, მატჩში დაბრუნდა, თუმცა მეტის გაკეთება ველარ მოახერხა.

მე-2 წუთზე ბათუმელთა შეტევა გოლით დასრულდა: მირზა ფარტენაძემ ჩააწოდა, იაროსლავ კვასოვი ბურთს კი მისწვდა, მაგრამ კარში დარტყმის ნაცვლად პასი გამოუვიდა და მარცხენა ფლანგიდან შეტევაში ჩართულმა ანზორ სუხიაშვილმა ახლო მანძილიდან ანგარიში გახსნა – 1:0.

მალევე ელგუჯა გრიგალაშვილის პასის შემდეგ თემურ ჩოგაძეს გოლის გატანის ძალიან კარგი შანსი ჰქონდა, თუმცა ახლო მანძილიდან ბურთი კარს მცირე მანძილით ააცილა.

გოლის შანსი გაუშვა ხელიდან დავით ჩაგელიშვილმაც, რომელიც მეკარესთან პირისპირ გავიდა, თუმცა ბოლოს დარტყმა სუხიაშვილმა არ აცალა.

იქვე ფარტენაძემ მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ჩოგაძე, რომლის დარტყმა მეკარე მელნიჩენკომ კუთხურზე მოიგერია. ბათუმელთა კუთხურს გრიგალაშვილის ჩაწოდება და იაროსლავ კვასოვის თავური დარტყმა მოჰყვა, უკრაინელმა ფორვარდმა ბურთი ახლო კუთხეში გაიტანა – 2:0.

ჩაგელიშვილს გატანა არც შოვნაძემ დაანება, როდესაც ნახტომში აულო თავით დარტყმული ბურთი.

შუქურას დაცვა კი კიდევ ერთი კუთხურისას ჩავარდა, რომელსაც ნიკა მგელაძის ზუსტი თავური დარტყმა მოჰყვა – 3:0.

მე-2 ტაიმში წამმზომს ერთი წრეც არ ჰქონდა დარტყმული, როდესაც შუქურამ ანგარიშში სხვაობა შეამცირა – ჩაგელიშვილმა, როგორც იქნა, გაიტანა.

68-ე წუთზე მარსელინიომ საჯარიმოს გარედან ძლიერად და ზუსტად დაარტყა კარისკენ და მატჩს ინტრიგა დაუბრუნა – 3:2.

ანგარიშის გათანაბრება რომან ჩაჩუასა და ჯეფერსონ გერალდოს შეეძლოთ, მაგრამ სიზუსტე დააკლდათ.

# 16 წლამდე ნაკრების გმირობა და ა დივიზიონის საგზური

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის მე-3 ადგილისთვის მატჩში დიდი ბრიტანეთის ნაკრებს დრამატულ ბრძოლაში, 1 ქულის სხვაობით (64:63) მოუგო და ბრინჯაოს მედალთან ერთად მოიგო გაცილებით ძვირფასი ტიტული – მომავალი წლისთვის ელიტური, ა დივიზიონის საგზური.

საქართველოს ნაკრებმა ნახევარფინალში ჰოლანდიასთან დასანანი მარცხი განიცადა და ა დივიზიონში გადასვლის ბოლო შანსი მე-3 ადგილისთვის მატჩში დიდი ბრიტანეთის დამარცხება იყო. გეხსომებათ, ბრიტანელები ჩვენს ქვეჯგუფში იყვნენ და 27 ქულით გვძლიეს. ბუბა ბერიშვილის, თემურ კანკიასა და ტიჰომირ ბუიანის გაწვრთნილ გუნდს ხელსაყრელი შანსი გაუჩნდა, კუნძულელებისთვის რევანში აეღოთ და თან მიზნისთვის მიეღწიათ.



ქართველებმა კარგად გაართვეს თავი ამ საქმეს, მაგრამ გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც – მატჩი დრამატიზმით აღსავსე გამოვიდა, რადგანაც ქართველებმა თითქმის უიმედო მატჩი ორჯერ შემოატრიალეს და საბოლოოდ ზედ საფინალო სირენის წინ ჩაგდებული ბურთით იმარჯვეს.

ჩვენებმა თამაში ცუდად დაიწყეს და პირველი პერიოდი 4:20 წააგო, ხოლო დიდი შესვენებისთვის 25:40 აგებდა.

თამაში ბრიტანელთა სამქულიანით განახლდა და კუნძულელთა ყველაზე დიდი – 18-ქულიანი ლიდერობაც დაფიქსირდა.

აქ საქართველოს ნაკრებმა თამაში რადიკალურად, უკეთესობისკენ შეცვალა და გუნდურობის წყალობით მე-3 პერიოდის დარჩენილი 9-წუთიანი მონაკვეთი მეტოქეს 27:2 მოუგო. ამ ეპიზოდში თავი ისახელა ბუკა ფეიქრიშვილმა, რომელმაც სამქულიანების სეტყვა დაუშვა ბრიტანელებს. საბოლოოდ ფეიქრიშვილმა 21 ქულა ისე შეაგროვა, არც ერთი სროლა არ აუცილებია – 5-დან 5 სამიანი, 4-დან 4 საჯარიმო და 1-დან 1 ორქულიანი მიითვალა.

ამ არნახული გაქცევის შედეგად მანამდე 18 ქულით ჩამორჩენილი საქართველოს ნაკრები ბოლო პერიოდის წინ 7 ქულით გალიდერდა და თითქოს მეტოქეც ფსიქოლოგიურად გატეხა, მაგრამ ბრიტანელებმა ბოლომდე იბრძოლეს და ჩამორჩენა ხომ გააბათილეს, მატჩის დასრულებამდე 25 წამით ადრე 5 ქულით დაწინაურდნენ. მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ქართველები არ დანებდნენ, ტაქტიკური ჯარიმებისა და ზუსტი შეტევების წყალობით საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს.

შეხვედრის დასრულებამდე 8 წამით ადრე ქულით მოლიდერე ბრიტანელებმა ორივე საჯარიმო ააცილეს, ბურთი მატჩის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ, ლაშა მიქელაძემ მოხსნა, რატი ანდრონიკაშვილს გადააწოდა და ჩვენი ნაკრების ლიდერმა მთელი მოედნის გადასერვის შემდეგ საფინალო სირენამდე 2 წამით ადრე გამარჯვების ბურთი ჩააგდო.

ქართველ 16-წლამდელებს ევროპის ჩემპიონატის ა დივიზიონში 11 წელია, არ უთამაშიათ. ამ ნაკრების ძირითადი ბირთვი კი იმ ბასკონიას პროექტის ნაწილია, რომლის გამოც რამდენიმე ხნის წინ ალიაქოთი იყო ატეხილი.

ტურნირის სიმბოლურ ხუთეულში შევიდა ჩვენი ნაკრების გამთამაშებელი, რატი ანდრონიკაშვილი, რომელიც ტურნირზე საშუალოდ 23.8 წუთში 13 ქულას, 3.5 პასს, 2.8 ჩაჭრას და 2.8 მოხსნას აგროვებდა.

რატი ანდრონიკაშვილს სიმბოლურ ხუთეულში ადგილი, ცხადია, გამთამაშებლის პოზიციაზე ერგო, რაც ქართული კალათბურთისთვის ორმაგად სასიხარულო ამბავია. ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენს ნაკრებებს სწორედ გამთამაშებლის პოზიციის გამაგრება ესაჭიროება.

## შედეგები

### 19 აგვისტო

<u>**ფეხბურთი**</u>

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სუონსი-მანჩესტერი ........ 0:4
ბორნმუთი-უოტფორდი ........ 0:2
ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი ........ 0:1
ლესტერი-ბრაიტონი ........ 2:0
ლივერპული-კრ.პალასი ........ 1:0
საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი ........ 3:2
სტოკი-არსენალი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 2.ვესტ ბრომვიჩი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 3.უოტფორდი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 4.ლივერპული | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 5.საუთჰემპტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6.ჰადერსფილდი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 7.სიტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 8.ტოტენჰემი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 9.ლესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 3 |
| 10.ევერტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 11.არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 12.ბარნლი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 13.სტოკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 14.სუონსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |
| 15.ჩელსი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |
| 16.ნიუკასლი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 17.ბორნმუთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 18.ბრაიტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |
| 19.კრ.პალასი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |
| 20.ვესტ ჰემი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

შეფილდი-ბარნსლი ........ 1:0
ასტონ ვილა-ნორვიჩი ........ 4:2
ბოლტონი-დერბი ........ 1:2
ბრისტოლი-მილუოლი ........ 0:0
ვულვზი-კარდიფი ........ 1:2
იფსვიჩი-ბრენტფორდი ........ 2:0
ქპრ-ჰალი ........ 2:1
ნოტინგემი-მიდლსბრო ........ 2:1
პრესტონი-რედინგი ........ 1:0
ფულემი-უენსდი ........ 0:1
სანდერლენდი-ლიდსი ........ 0:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-სოსიედადი ........ 2:3
ხირონა-ატლეტიკო ........ 2:2
სევილია-ესპანიოლი ........ 1:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ხიხონი ........ 0:0
ოსასუნა-სევილია ბ ........ 1:1
კორდობა-კადისი ........ 1:2
ნუმანსია-უესკა ........ 1:0
ვალიადოლიდი-ბარსელონა ბ ........ 1:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰოფენჰაიმი-ვერდერი ........ 1:0
ჰერტა-შტუტგარტი ........ 2:0
ჰამბურგი-აუგსბურგი ........ 1:0
მაინცი-ჰანოვერი ........ 0:1
ვოლფსბურგი-დორტმუნდი ........ 0:3
შალკე-ლაიპციგი ........ 2:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დინამო-ზანდჰაუზენი ........ 0:4
ფორტუნა-კაიზერი ........ 2:0
ჰაიდენჰაიმი-დიუსბურგი ........ 1:2

**იტალია. სერია ა**

იუვენტუსი-კალიარი ........ 3:0
ვერონა-ნაპოლი ........ 1:3

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლიონი-ბორდო ........ 3:3
მონპელიე-სტრასბური ........ 1:1
ნიცა-გენგამი ........ 2:0
რენი-დიჟონი ........ 2:2
სტ.ეტიენი-ამიენი ........ 3:0
ტრუა-ნანტი ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 3 | 3 | 0 | 0 | 8-3 | 9 |
| 2.სტ.ეტიენი | 3 | 3 | 0 | 0 | 5-0 | 9 |
| 3.ლიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 7 |
| 4.პსჟ | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 5.მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 6.ბორდო | 3 | 1 | 2 | 0 | 7-5 | 5 |
| 7.ანჟე | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 8.ტრუა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 9.მონპელიე | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 10.სტრასბური | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 11.ლილი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 12.ნიცა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 13.ტულუზა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 14.გენგამი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 15.ნანტი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| 16.რენი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| 17.დიჟონი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-9 | 1 |
| 18.კაენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 19.მეცი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |
| 20.ამიენი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-ბრესტი ........ 2:4

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ტვენტე-ვენლო ........ 1:2
ალკმაარი-დენ ჰააგი ........ 2:0
ჰერენვენი-ერაკლესი ........ 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა დივიზიონი**

ტონდელა-ეშტორილი ........ 2:3
გიმარაეში-სპორტინგი ........ 0:5
ბენფიკა-ბელენენსეში ........ 5:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-ცსკა ........ 0:0
სპარტაკი-ლოკომოტივი ........ 3:4
რუბინი-ანჟი ........ 6:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ტუნი-ლოზანა ........ 5:2
ციურიხი-იანგ ბოიზი ........ 0:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-სელტიკი ........ 0:2
აბერდინი-დანდი ........ 2:1
მოზერველი-როსი ........ 2:0
რეინჯერსი-ჰართსი ........ 0:0
სტ.ჯონსონი-პარტიკი ........ 1:0
ჰიბერნიანი-ჰამილტონი ........ 1:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-შტურმი ........ 1:2
ვოლფსბერგერი-ადმირა ........ 2:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენკი-შარლერუა ........ 0:1
ბევერენი-ლოკერენი ........ 2:3
ეუპენი-ოსტენდე ........ 2:1
მეხელენი-ანტვერპენი ........ 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-იანინა ........ 1:2
ქსანთი-ლამია ........ 0:0
ოლიმპიაკოსი-ლარისა ........ 4:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაბუქი-ბაშაქშეჰირი ........ 3:1
ბურსა-ალანია ........ 3:2
ოსმანლი-გალათასარაი ........ 1:3
სივასი-მალათია ........ 2:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-ტეპლიცე ........ 3:3
ზლინი-კარვინა ........ 1:0
ბოჰემიანსი 1905-სლავია ........ 0:0
ბოლესლავი-ლიბერეცი ........ 0:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

არკა-პოგონი ........ 0:3
პიასტი-კორონა ........ 2:0
იაგელონია-სლასკი ........ 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ჩერნომორეცი-ვერესი ........ 0:1
შახტარი-ოლიმპიკი ........ 2:0

**დანია. სუპერლიგა**

კოპენჰაგენი-სონდერიისკე ........ 3:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

ესკილსტუნა-მალმიო ........ 3:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ლილესტრიომი-ვალერენგა ........ 2:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კემი-ინტერი ........ 1:5
ჰიფკი-როვანიემი ........ 1:0
სეინეიოკი-ლახტი ........ 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ვლადიმირ ვაისმა საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

2 და 5 სექტემბერს საქართველოს ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე 2 მატჩის გამართვა უწევს. ვლადიმირ ვაისის გუნდი ჯერ ირლანდიას დაუხვდება, ხოლო შემდეგ ავსტრია ესტუმრება.

ჩვენი გუნდის შანსი მუნდიალზე მოსახვედრად, მიზერულია. როგორც ყოველთვის, ჯგუფური ეტაპის დარჩენილი მატჩები მხოლოდ იმისთვის უნდა გამოვიყენოთ, რომ მომავალ ციკლს მომზადებული შევხვდეთ, მაგრამ რატომღაც ყოველი ახალი ციკლის ბოლოს დეჟავუ გვაქვს...

ვაისმა ირლანდია-ავსტრიასთან 33 ფეხბურთელი გამოიძახა. მათგან 7 ეროვნულ ლიგაში მოთამაშეა. საბოლოოდ რა შემადგენლობით მოემზადება ეროვნული გუნდი, ეს მომავალ კვირას გახდება ცნობილი. საქართველოს ნაკრები მატჩებისთვის მოსამზადებელ ეტაპს თბილისში 28 აგვისტოდან გეგმავს.



საქართველოს ეროვნული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა:

**მეკარეები:** გიორგი მაკარიძე (მორეირენსე, პორტუგალია), ნუკრი რევიშვილი (დინამო თბ), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

**მცველები:** გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ოთარ კაკაბაძე (ხიმნასტიკი, ესპანეთი), უჩა ლობჟანიძე (ატირაუ, ყახაზეთი), ლევან გეგეჭკორი (დინამო თბ), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი რუსეთი), ჯემალ ტაბიძე (უფა, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გიორგი ნავალოვსკი (სკა-ენერგია, რუსეთი), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია);

**ნახევარმცველები:** ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ნიკა კვეკვესკირი (ტობოლი, ყაზახეთი), ჯაბა კანკავა (უგუნდო), მურთაზ დაუშვილი (დიოშგიორი, უნგრეთი), ვაკო გვილია (ბატე, ბელარუსი), გიორგი აბურჯანია (სევილია, ესპანეთი), გიორგი ჩაკვეტაძე, ბაქარ ქარდავა (დინამო თბ), თეიმურაზ შონია (დინამო ბთ), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), გიორგი ჭანტურია (ურალი, რუსეთი), გიორგი არაბიძე (შახტარი, უკრაინა), გიორგი პაპუნაშვილი (სარაგოსა, ესპანეთი), ჯაბა ჯიღაური (ვარდარი, მაკედონია), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია);

**თავდამსხმელები:** გიორგი ქვილითაია (რაპიდი, ავსტრია), ნიკა კაჭარავა (კორონა, პოლონეთი), ვლადიმერ დვალიშვილი (ატირაუ, ყაზახეთი), დავით სხირტლაძე (სილკებორგი, დანია), ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი).

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ასტროპროგნოზი
## 21 აგვისტოსთვის



**ვერძი** – ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობა წარმატებას მოგიტანთ. იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა. **კურო** – ბიზნესის სფეროში იაქტიურეთ. სრულყავით პროფესიონალიზმი. **ტყუპები** – სიურპრიზებით აღსავსე დღეა. შესაძლებლობა გეძლევათ, თქვენი ნიჭი მაქსიმალურად გამოავლინოთ. **კირჩხიბი** – იაქტიურეთ, ნუ მოდუნდებით, მეგობრებს შეხვდით და გაერთეთ. **ლომი** – სტაბილური დღეა. არაფერი გაღელვებთ. ერიდეთ საკუთარი აზრის გამოხატვას. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. გიმართლებთ ყოველგვარ საქმეში. **სასწორი** – ფინანსური მდგომარეობა უმჯობესდება. შემოსავლის ახალ წყაროს მიაგნებთ. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან დაძაბული ურთიერთობა გაქვთ. საკუთარი აზრის გამოხატვას პლანეტები არ გირჩევენ. **მშვილდოსანი** – საყიდლებზე წასასვლელად იღბლიანი დღეა. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **თხის რქა** – მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შრომა დაგიფასდებათ. **მერწყული** – გელით სასიამოვნო ცვლილებები. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. **თევზები** – ნებისმიერი კონტაქტი არასასურველია. სახლში დარჩით და დღე შინაურების გარემოცვაში გაატარეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# მელბურნი მსოფლიოს საუკეთესო ქალაქად აღიარეს

ავსტრალიის ქალაქი მელბურნი მეშვიდედ იქნა აღიარებული მსოფლიოს საუკეთესო ქალაქად. ამ ინფორმაციას ჟურნალი ეკონომისტი ავრცელებს, რომელიც ქალაქების რეიტინგს ყოველწლიურად ადგენს.



მელბურნის გარდა, მაღალი შეფასებები მიიღეს ავსტრიის დედაქალაქმა ვენამ, რომელიც ლიდერს მხოლოდ 0,1 პროცენტით ჩამორჩა, კანადის ქალაქებმა ვანკუვერმა, ტორონტომ და კალგარიმ. სიის ბოლო ადგილზე გავიდა სირიის ქალაქი დამასკო.

ცხოვრების დონის გაუარესების მაჩვენებლის მიხედვით, ერთ-ერთი ლიდერია რუსეთის დედაქალაქი მოსკოვი. 2017 წლის სიაში რუსეთის დედაქალაქმა მე-80 ადგილი დაიკავა. ბოლო ხუთი წლის მანძილზე მასში ცხოვრების დონე 5,6 პროცენტით გაუარესდა.

ყველაზე სწრაფად ცხოვრების დონე უმჯობესდება ირანის დედაქალაქ თეირანში, არაბთა გაერთიანებული საემიროების ქალაქ დუბაიში, ასევე აბიჯანში (კოტ-დ,ივუარი). ჰარარეში (ზიმბაბვე) და კოლომბოში (შრი-ლანკა).

# დაკარგული საქორწინო ბეჭედი 13 წლის შემდეგ სტაფილოზე აღმოჩნდა

კანადელი ქალბატონის დაკარგული ქორწინების ბეჭედი 13 წლის შემდეგ ბოსტანში აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციას ბი-ბი-სი ნიუსი ავრცელებს.

მერი გრამსმა ძვირფასი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი 2004 წელს დაკარგა, როდესაც საოჯახო ფერმაში, რომელიც პროვინცია ალბერტში მდებარეობს, ბოსტნეულის რიგებს რწყავდა.



ქალმა მომხდარის თაობაზე მხოლოდ საკუთარ შვილს უამბო. ხოლო ოჯახის სხვა წევრების, მათ შორის მეუღლისგანაც, ამ ამბავს წლების მანძილზე მალავდა.

გრამსმა დაკარგული სხვა, უფრო იაფფასიანი ბეჭდით შეცვალა და ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

რამდენიმე დღის წინ, მისმა რძალმა სადილისთვის ბოსტანში რამდენიმე სტაფილო ამოიღო. ბოსტნეულის გარეცხვის დროს კი მან ერთ-ერთ სტაფილოზე ბეჭედი აღმოაჩინა. სტაფილო ბეჭედში იყო ჩაზრდილი. გრამსის შვილი მაშინვე მიხვდა, თუ ვის ეკუთვნოდა ნაპოვნი ბეჭედი.

როდესაც ქალმა ამის შესახებ შეიტყო, ინანა, რომ ქმარს, რომელიც ხუთი წლის წინ გარდაიცვალა, სიმართლე დაუმალა. მისი აზრით, მეუღლე მომხდარს თავშესაქცევ შემთხვევად ჩათვლიდა.

# ბიონსემ უცნობი საოჯახო ფოტო გამოაქვეყნა

ამერიკელმა მომღერალმა ბიონსემ აქამდე უცნობი საოჯახო ფოტოსურათები გამოაქვეყნა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი გამოცემა ავრცელებს.



ფოტოსურათები შევიდა ახალ წიგნში, რომელიც მსახიობსა და მის ალბომ ლემონადეს ეძღვნება და 600 გვერდისგან შედგება.

ფოტოსურათზე თავად ბიონსე, მისი მეუღლე, რეპერი ჯეი-ზი, მათი ქალიშვილი ბლუ აივი და მომღერალის კოლეგა სოლანჟ ნოულზი არიან ასახული.

ლემონადე ბიონსეს მეექვსე სტუდიური ალბომია, რომელიც 2016 წელს გამოვიდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ლიტვაში კაფედან დათვი გაიქცა

ლიტვის ჩრდილოეთ ნაწილში, იონიშკსის რაიონში, კაფე პლუგო ბროლიაიდან დათვი გაიქცა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინციდენტი პარასკევ საღამოს მოხდა. მტაცებელი ცხოველი კაფესთან არსებული ვოლიერიდან გაიქცა. ინფორმაცია მომხდარის თაობაზე პოლიციას, გარემოს დაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო სამსახურებს გადაეცა.

შაულიაის პოლიციის ცნობით, გაქცეული დათვი თავისი ზომებით ადამიანს აღემატება. ცხოველის საძიებო სამუშაოებში პოლიციასთან ერთად კაფეს თანამშრომლებიც მონაწილეობენ. მტაცებლის გაქცევის თაობაზე ინფორმაცია ასევე გადაეგზავნა მეზობელი რაიონებს პოლიციის განყოფილებებსა და ლატვიის პოლიციასაც. იონიშკსის რაიონის მცხოვრებთ ურჩევენ, სიფრთხილე გამოიჩინონ, ხოლო დათვის შენიშვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სკანვორდი



1. სიკვდილით დასჯის ადგილი (ძვ.); 2. სამაგიდო თამაში; 3. ბერძნული ანბანის ასო; 4. ... გიბსონი; 5. ყაიმი; 6. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 7. კორეული ავტომობილი; 8. ადგილობრივი სისხლნაკლებობა; 9. მექანიკურ დისციპლინაზე დამყარებული სამხედრო სწავლება; 10. ... რიშარი; 11. „... დაიდარდო!“; 12. ... დელონი; 13. გათხოვილი ქალის ხსენება სკანდინავიურ ქვეყნებში; 14. ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ატრიბუტი; 15. სახელმწიფო აზიაში; 16. კუთხე მიმანიშნებელი წინსართი; 17. გარსის უფერული ფენა თესლოვანი მცენარის ყვავილის მტვრის მარცვალში; 18. მაჰმადიანთა სულიერი მოძღვარი; 19. ბატონო (ინგლისურად); 20. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 21. ნოტი; 22. ცეცხლის ანადენი; 23. იუპიტერის თანამგზავრი; 24. მდინარე კახეთში; 25. ... სიბელიუსი; 26. უქოჩრო თუთიყუში; 27. სვანური მითოლოგიის ერთ-ერთი ქალღმერთი; 28. „შიშველი ...“; 29. კურკოვანი ხილი; 30. ალკოჰოლიანი სასმელი; 31. ერთგვარი ნაყინი; 32. შოტლანდიური ნაგაზი; 33. აეროპორტი პარიზში; 34. ნიავი; 35. ნაბიჯი ბალეტში; 36. საფლობი ტალახი; 37. ცხენის ჩლიქზე დასაჭედებელი რკინა.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ლეგრანი; 2. ლეკები; 3. ლაზარეთი; 4. რიტორიკა; 7. გარპაგონი; 8. კვარიათი; 12. აბრეშუმი; 14. კვესტურა; 16. გეიზერი; 17. ბაღდათი; 19. იდეა; 20. გოია.

**თარაზულად:** 5. ცერცვაძე; 6. ბრაუნინგი; 9. ბალბოა; 10. ბუკერი; 11. ვაშლი; 13. ებანი; 15. ღვინიო; 18. ჰერში; 21. კურლანდია; 22. ეიფორია; 23. კანტონი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რუბენსი; 2. ბროსნანი; 3. ალგებრა; 5. საქსონია; 7. ჭიანური; 9. იაკიტორია; 13. ლანძილი; 15. იგუასუ; 16. კოპოლა; 18. წვიმა

**თარაზულად:** 4. კუროსავა; 6. აბრსკილი; 8. მელიქიშვილი; 10. მენზულა; 11. კარე; 12. ბრუნეი; 14. დიეტა; 17. ლონჟა; 19. კუკია; 20. უორდროპი; 21. ადლი; 22. ხუზისტანი; 23. ფაიფური.

# ჯულიეტა ვაშაყმაძე 84 წლის გახდა



ქართული ტელევიზიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახე, ჟურნალისტი ჯულიეტა ვაშაყმაძე, 84 წლის გახდა.

ჯულიეტა ვაშაყმაძე, ქართული რადიოს პიონერთა დაფიონისა და ტელევიზიის ცოცხალი ლეგენდა, უნიჭიერესი ტელედიქტორი, წამყვანი, კომენტატორი, ჟურნალისტი, პროფესიით არქიტექტორია. საქართველოს დამსახურებული არტისტი არაერთ ფილმშია გადაღებული.

გასაოცარი მეხსიერების, იმპროვიზაციის, მეტყველების, დიქციის, უდიდესი დამსახურებების, შეუფასებელი, დაუფასებელი ღვაწლის, მარად მომხიბლავი, უჭკნობი სილამაზის მქონე დიდი ქალბატონი – ასე აფასებენ მას მეგობრები და გულშემატკივრები.

ჯულიეტა ვაშაყმაძე ერთ-ერთია იმ ღვაწლმოსილ ჟურნალისტებს შორის, რომლებსაც ფუნიკულიორზე, სატელევიზიო ანძის მიმდებარე ტერიტორიაზე, ვარსკვლავი გაუხსნეს. ჟურნალისტიკა მის ოჯახში კვლავაც აქტუალურია – მისი შვილი, გიორგი გაბუნია, აქტიური ჟურნალისტია და ტელეკომპანია რუსთავი 2-ში მუშაობს.

# მიშა გომიაშვილი ხელისუფლებას პრიორიტეტების გადახედვას ურჩევს



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი მიშა გომიაშვილი საქართველოს ხელისუფლებას პრიორიტეტების გადახედვას ურჩევს:

– უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა წელს ბერლინალეზე, 5 ქართული ფილმი იყო გასული... ამ პატარა ქვეყნიდან... თვითონ ფესტივალის მესვეურები დარჩნენ გაკვირვებულნი...!!! ახლა ორმა ქართულმა ფილმმა აიღო მთავარი პრიზი!!! ლოკარნოში და სარაევოში!!! ხელისუფლებას მივმართავ, დასკვნები თვითონ გამოიტანეთ!!! ვის გააქვს საქართველოს სახელი მსოფლიოში და თან ასე ამაყად!!! პრიორიტეტებს ხომ არ გადახედავდით???

ომის დროს ჩერჩილს შეუტანეს განსახილველად ქვეყნის ბიუჯეტი. ჩერჩილმა გადაავლო თვალი დოკუმენტს და გაკვირვებულმა ჰკითხა: – სად არის კულტურაზე გამოყოფილი ფული?.. – ომი მიდის და რა დროს კულტურაა?... – თუ არ არის კულტურა, მაშინ რაღაზე ვომობთ? – მიუგო გაკვირვებულმა ჩერჩილმა.

# დაბა სტეფანწმინდაში ამფითეატრის მშენებლობა იწყება



ყაზბეგის რაიონში, დაბა სტეფანწმინდაში, ამფითეატრის მშენებლობა იწყება. ამ იდეის ინიციატორი ორგანიზაცია „გერგარტია". მის მესვეურებს გარკვეული თანხა უკვე შეგროვილი აქვთ და დარჩენილი 2500 ლარის შეგროვებას თანამემამულეებს სთხოვენ:

– „გერგარტი" დაბა სტეფანწმინდაში იწყებს ამფითეატრის მშენებლობას და გვჭირდება თქვენი დახმარება! იმისთვის, რომ ყაზბეგის რაიონში შეიქმნას ღია, თავისუფალი, მრავალფეროვანი და ძალიან საინტერესო სივრცე, საჭიროა დამატებით 2500 ლარი! დაგვეხმარეთ ამ მნიშვნელოვანი იდეის განხორციელებაში.

დაბა სტეფანწმინდაში ამფითეატრის მშენებლობისთვის დახმარების მსურველებისთვის ლიბერთი ბანკში სპეციალური ანგარიშია გახსნილი.

# თაკო ნაცვლიშვილი ვიქტორია სეკრეტის ფინალში გადავიდა



ქართველი მოდელი თაკო ნაცვლიშვილი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ შოუ ვიქტორია სეკრეტში მოსახვედრად იბრძვის. ამ შოუში მოხვედრა მოდელებისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოცნებაა.

შოუსთვის მოდელების შერჩევა რამდენიმე დღეა ნიუ იორკში მიმდინარეობს. დამწყებ მოდელებთან ერთად, ვიქტორია სეკრეტის შოუში მონაწილეობისთვის გამოცხადებულ კონკურსში ცნობილი მოდელებიც მონაწილეობენ.

თაკო ნაცვლიშვილი უკვე წარდგა შოუს ორგანიზატორთა წინაშე და მათგან პირველი სასიხარულო შეტყობინებაც მიიღო, ქართველი მოდელი ვიქტორია სეკრეტის შესარჩევი კონკურსის ფინალურ ტურში გადავიდა. ამის დამადასტურებელი მიმოწერა თაკომ ინტერნეტში გაავრცელა და როგორც ქართველი, ასევე უცხოელი გულშემატკივრებისგან მილოცვები მიიღო.

ვიქტორია სეკრეტის 2017 წლის შოუსთვის შესარჩევი მოდელებისთვის გადამწყვეტი ტური რამდენიმე დღეში გაიმართება და ცნობილი გახდება იმ ლამაზმანების სია, რომლებსაც ორგანიზატორები ვიქტორია სეკრეტის ყველაზე გრანდიოზულ შოუში მიაღებინებენ მონაწილეობას.

18 წლის თაკო ნაცვლიშვილი პირველია ქართველი მოდელებიდან, რომელიც ვიქტორია სეკრეტის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობს. იგი საერთაშორისო სამოდელო სამყაროში უკვე ცნობილია, რადგან მონაწილეობა აქვს მიღებული პარიზისა და მილანის მოდის კვირეულებში. თაკო დონატელა ვერსაჩეს ფავორიტი მოდელია. ვატო ნაცვლიშვილისა და ნინო ცქიტიშვილის გოგონა ასევე პირველი ქართველი მოდელია, რომელიც არმანის სახე გახდა. მისი ფოტოები არმანის მაღაზიებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ამშვენებდა.

# გორან ბრეგოვიჩმა ქართველ მსმენელს ვიდეომიმართვა გამოუგზავნა



26 აგვისტოს მსოფლიოში ცნობილი მომღერალი გორან ბრეგოვიჩი ბლექ სი არენაზე კონცერტს გამართავს. კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე მუსიკოსმა ქართველ მსმენელს ვიდეომიმართვა გამოუგზავნა და დასძინა, რომ მსმენელთან შეხვედრას მოუთმენლად ელოდება:

– გაუმარჯოს საქართველოს, მე გორან ბრეგოვიჩი გახლავართ. 26 აგვისტოს კონცერტს გავმართავ ბლექ სი არენაზე. ველოდები თქვენთან შეხვედრას! ეს სიგიჟე იქნება, თუ არ გაგიჟდებით, ესე იგი ნორმალურები არ ხართ! – ამბობს გორან ბრეგოვიჩი.

გორან ბრეგოვიჩის მუსიკა ბალკანურ ფოლკლორს, როკსა და სიმფონიას აერთიანებს. იგი უამრავი ცნობილი სიმღერისა და საუნდტრეკის ავტორია. მან შექმნა მუსიკა ემირ კუსტურიცას ცნობილი ფილმებისთვის, რომლებსაც ასრულებდნენ მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავები, მათ შორის იგი პოპპი და სეზარია ევორა.

გორან ბრეგოვიჩი საქართველოში პირველად არ ჩამოდის. ის კარგად იცნობს ქართველ მსმენელს, ამიტომაც აცხადებს, რომ მათთან შეხვედრას მოუთმენლად ელოდება.

# დავით კაკაბაძის ნამუშევარი „ტერენტი გრანელი" ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შეიძინა



ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის ნამუშევარი, სახელწოდებით „ტერენტი გრანელი", საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შეიძინა და იგი ქვეყნიდან გატანას გადაურჩა.

ინფორმაცია ამის შესახებ ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ გაავრცელა:

– ისევ გილოცავთ! ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმის კიდევ ერთი ფასდაუდებელი შენაძენი: დავით კაკაბიძის ნამუშევარი ,,ტერენტი გრანელი", რომელიც მან პოეტს მიუძღვნა და ავტორისა და ტერენტის მინაწერებიც ამშვენებს, საქართველოში დარჩება.

ერთი თვის წინ ლიტერატურის მუზეუმის ხელმძღვანელმა ლაშა ბაქრაძემ მოგვმართა, რაც მრავალმხრივ დასაფასებელი ნაბიჯია, რომ მასთან დროებით ინახებოდა კერძო პირის საკუთრება, თქვენ წინაშე წარმოდგენილი ნამუშევარი.

ლიტერატურის მუზეუმს, სამწუხაროდ, არ ჰქონდა მისი შეძენის შესაძლებლობა, დაინტერესებული კი არაერთი კერძო კოლექციონერი იყო. მფლობელთან მოლაპარაკებისა და პარალელურად არაერთი ექსპერტიზისა თუ კომპეტენტური კოლეგიის დასკვნების შემდეგ, ჩვენ მოვახერხეთ მისი შეძენა და კაკაბაძის გრანელი ეროვნულ ბიბლიოთეკაში, წიგნის მუზეუმში დაიდებს ბინას, რომელიც მალე გაიხსნება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მთვრალმა გოგონამ მეთევზეს ანკესი წაართვა და აგინა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ სენტ-ორგასტინში მთვრალმა გოგონამ მეთევზეს ანკესი გამოსტაცა.

ადგილობრივი პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 22 წლის ალექსანდრა ტერნერმა მამაკაცთან მიცურა, რომელიც ნაპირთან ანკესით იდგა, უცენზურო სიტყვებით შეამკო, პირი ანკესის ძუას სტაცა და ზღვისკენ გაცურა.

ადგილობრივი შერიფის თანამშრომლებმა გოგონას მოუწოდეს, ნავმისადგომის ოფისში გამოცხადებულიყო, მაგრამ მათმა ამ მოთხოვნამ გოგონაში აგრესია გამოიწვია. როდესაც მისი ამოყვანა ცადეს, მან სცენები გამართა და, როგორც გამომძიებელმა აღნიშნა, „ნავმისადგომზე საზოგადოებრივი ნორმები დაარღვია".

საბოლოოდ ტერნერი დააკავეს. მას ნასვამ მდგომარეობაში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ედება ბრალად.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**კალეიდოსკოპი**

## იტალიელებს სემუელ ელ ჯექსონი მიგრანტში აერიათ



სოციალურ ქსელებში გავრცელდა ამერიკელი მსახიობის სემუელ ელ ჯექსონისა და კალათბურთელ მეჯიქ ჯონსონის ფოტოსურათი, რომლებიც იტალიის კურორტ ფორტე-დეი-მარმიში ისვენებენ და რომელმაც ქვეყნის მცხოვრებთა აღშფოთება გამოიწვია. შესაბამისი განცხადება ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა მოდელმა ნინა მორიჩმა.

ფოტოსურათზე ცნობილი პირები სკამზე სხედან, გვერდით კი ბრენდულ ბუტიკებში შეძენილი ნივთებით სავსე პაკეტები უდევთ. სწორედ ეს გახდა იტალიელების იმაზე მსჯელობის საგანი, თუ როგორ კარგად ცხოვრობენ მიგრანტები ქვეყნის ადგილობრივი მცხოვრებლების ხარჯზე.

შეგახსენებთ, რომ სემუელ ელ ჯექსონი ამერიკელი მსახიობი და პროდიუსერია, რომელიც 100-ზე მეტ ფილმშია გადაღებული.

# პროგრამა

**ოიშაბათი 21 აგვისტო**

**06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" **09.00** ტ/სერ. "**გამარჯვებული ვიქტორია**" **10.00, 02.45** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.00, 03.45** დღის მხ/ფ "**მაროკო**" (მ.დიტრიხი) **15.00, 05.15** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **22.00** ტ/სერ. "**მთავრობა**" **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **23.20** მხ/ფ "**დიდი ვალდო პეპერი**" (რ.რედფორდი) **01.00** მხ/ფ "**სამოთხეში დაბრუნება**" (ვ.ვონი)

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

**07.00, 14.40** სერ. "**ელიფი**" **08.00, 16.00** სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.30** ქრონიკა **09.20** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** სერ. "**ღირსების სახელით**" **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სერ. "**ძმა**" **22.30** სერ. "**ელ პრინსიპე**" **00.00** მხ/ფ "**შიმშილის თამაშები**" **02.35** მხ/ფ "**კარგი ბიჭები**" **04.45** მხ/ფ "**მხოლოდ შეყვარებულები გადარჩებიან**"

**06.00, 18.45** სერ. "**კაცი**" **07.00, 19.45** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **08.00** სერ. "**ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები**" **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **09.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** სერ. "**ვარსკვლავის დაბადება**" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **20.03** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **23.45** მხ/ფ **01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

GDS **08.00** ან/ფ "ავატარი 2" **09.00** სერ. "**მონკი-5**" **10.00** სერ. "**მონკი-6**" **13.00** სერ. "**ძვლები-2**" **17.00** სერ. "**სიმართლის ანატომია**" **19.00** სერ. "**გრეის ანატომია 13**" **21.00** სერ. "**კრიმინალური რომანი-2**" **22.30** სერ. "**გომორა**" **03.30** მხ/ფ "**ღამეები როდანში**" **05.30** მხ/ფ "**მუსიკა და ლირიკა**"

იბერია **08.00** სერ. "**უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები**" **წყალქვეშა ნავი** **09.00** დოკ/ფ "იესოს ცხოვრების ისტორია" III ნაწ. **09.55** მულტ/სერ. "სისი" **10.25** ავტომანი **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20** ახალი ამბები **11.20** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **11.50** მოდი გავიყაროთ **12.40** ბენეფისი **15.00** სერ. "**ბანდოლერა**" **16.25** Hellow თბილისი **18.00** ღია სტუდია **19.55** მე რომ ვიყო **20.00** სერ. "**ფოილის ომი**" **21.30** დე ფაქტო **22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის** **0.00** მხ/ფ "**მებრძოლთა მეფე**" **1.30** მოდი გავიყაროთ **03.00** ღია სტუდია **04.00** სერ. "**რაუ**"

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-ეფრემი **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** პატრიარქის ქადაგება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-ღამის მონადირეები" **09.05** "განთიადი"-კოლაჟი **10.15** მხ/ფ "**ენი მწვანე სახურავების მამულიდან**" **11.00** საკვირაო სახარების განმარტება **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ბერნარდა ალბას სახლი**" **13.35** "შუადღის სტუმარი"-მღვდელი დეკანოზ გიორგი თევდორაშვილი-მირონმდინარე ხატები **14.00** "შუადღის სტუმარი"-მხატვარი მამუკა ჭოხონელიძე **14.20** დ/ფ "ველური ბუნება-ფლამინგოს დრო" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** სპექტაკლი "**ასერგასის დღე**" I, II **18.15** ერთი დღე მონასტერში "ერეკლე საღლიანი" **18.30** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00** გზა, რომლითაც ვიარე "დავით ანდღულაძე" **19.20** მიწათმოქმედი "ქართული მცენარეები" **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** პატერიკი-ვერცხლის მოყვარეობით შეპყრობილის განკურნება **21.25** ჩვენი ფონდი "წმინდა იოანე ნათლისმცემლის იკონოგრაფიის შესახებ" **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა "გარდაბნის საკათედრო ტაძარი და შავნაბადას მონასტერი" **22.00** დეკორატიული ფლორა "ტიტა" **22.15** შარავანდედი-დიმიტრი არაყიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-ამოსი I ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან-"შალვა ქიქოძე" **23.45** ღვთის სახლი "ლაშქენდარი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.10** ჩვენი ფონდი-"ლიტერატურული პროცესი საბჭოთა ტოტალიტარიზის პერიოდში" **00.30** კონცერტი

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30 - 02.30** ახალი ამბები მსოფლიოო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

21 აგვისტოსთვის

აშშ დოლარი — 2.3895

ევრო — 2.8067

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0808

100 რუსული რუბლი — 4.0213

## ამინდის პროგნოზი 21 აგვისტოსთვის





## 1 აგვისტოდან




ქართული დეტექტივი

ტომი 15

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## იტალიური ვოგის ექსრედაქტორის შვილი ბევერლი-ჰილზში სახლს ყიდის

ჟურნალ ვოგის იტალიური გამოცემის ყოფილი მთავარი რედაქტორის ფრანკი სოცანოს შვილი ბევერლი-ჰილზში მდებარე სახლს თითქმის 7 მილიონ დოლარად ყიდის.



ფოტოგრაფმა და რეჟისორმა ფრანჩესკო კაროცინიმ ეს საცხოვრებელი 2015 წელს შეიძინა და მაშინ მასში 5,4 მილიონი დოლარი გადაიხადა.

კაროცინი დანიშნულია ვოგის ამერიკული ვერსიის მთავარი რედაქტორის ანა ვენტურის ქალიშვილზე. ბი შეფერი ნიუ იორკში ცხოვრობს და, გამორიცხული არ არის, კალიფორნიაში სახლის გაყიდვა ფოტოგრაფის ამ მეგაპოლისში შესაძლო გადასვლას უკავშირდებოდეს.

2016 წელს კაროცინიმ ნიუ იორკის გრინვიჩ-ვილიჯში თაუნჰაუსი 12,5 მილიონ დოლარად გაყიდა.

## ევა ლონგორია მოდის კვირეულში დებიუტისთვის ემზადება

ტელესერიალ „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ ვარსკვლავი ევა ლონგორია ნიუ იორკის მოდის კვირეულში დებიუტისთვის ემზადება.



ევა ლონგორიას კოლექციის ჩვენება 13 სექტემბრისთვის არის დაგეგმილი. გარდა ამისა, მოდის ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ მსახიობი როზარიო დოუსონი, მტვ-ს ვარსკვლავი ვანესა სიმონსი.

ნიუ იორკში მოდის კვირეული 7-დან 13 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება და მასზე სხვადასხვა ცნობილი ბრენდის ახალი კოლექციების ჩვენება მოეწყობა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## იუმორი

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

— გუშინ ჩემმა ქმარმა ყველაფერი გულახდილად მითხრა, რასაც ჩემზე ფიქრობდა.

— მერე?

— გულწრფელად შემეცოდა... თურმე ვისთან უცხოვრია!

•••

კაცი კვდება და ახლო ნათესავებს თავისთან უხმო.

— ძმაო, გახსოვს, სამსახურიდან, რომ გამოგაგდეს?

— მახსოვს.

— ჩემს გამო მოხდა. დაო, გახსოვს, უშიშროების სამსახური რომ დაგდევდა და დაკითხვებზე დაგატარებდა?

— მახსოვს.

— ეგეც ჩემი ბრალია. ანონიმური წერილი გავაგზავნე. ძვირფასო, გახსოვს, შენი დაპატიმრება რომ უნდოდათ? ეგეც ჩემი დამსახურება იყო. მაპატიეთ თუ შეგიძლიათ. ახლა კი ბოლო თხოვნა იქნება, რომ მოვკვდები, ფეხებით ჩამომკიდეთ.

კაცი მოკვდა. ნათესავებმა ფეხებით ჭაღზე ჩამოკიდეს. ამ დროს ზარმა დარეკა. კარი გააღეს, იქ კი პოლიციელები დგანან და ერთ-ერთი ეუბნება:

— ჩვენთან შეტყობინება შემოვიდა, რომ ამ ოჯახში მიცვალებულს შეურაცხყოფას აყენებენ!

•••

ორი ქალი მანქანასთან დგას. ერთი მეორეს ეუბნება:

— აუ, ბორბალმა დაუშვა.

— სულ?

— არა, მხოლოდ ქვედა მხარემ.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, ენის წვერი მტკივა და ნახე, რა მჭირს.

— ყველაფერი ნორმალურადაა, უბრალოდ, თავის ბუნებრივ მდგომარეობას იღებს, ორკაპა ხდება.

•••

მამა შვილს ეჩხუბება:

— ეს რას ჰგავს? არ სწავლობ, არაფერს აკეთებ და მხოლოდ გოგონებზე ფიქრობ!

— შენ რა, ასეთი არ იყავი ჩემს ასაკში?

— როგორ მიბედავ ასე ლაპარაკს! ჩვენ შორის მამა ვინაა, არ იცი?!

— უკვე ორივე, მამა, უკვე ორივე!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## სერია „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ გრძელდება

10 აგვისტოდან
ტომი 50
პინოჩეტი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

17 აგვისტოდან
ტომი 51
იულიუს კეისარი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

24 აგვისტოდან
ტომი 52
ლინკოლნი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




## 22 აგვისტოდან

ლაშა იმედაშვილი

ქართული დეტექტივი

ტომი 13

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

პატრიარქის ზაფხული

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## ჰაიდი კლუმი საცვლების რეკლამაში გადაიღეს



სუპერმოდელმა ჰაიდი კლუმმა საცვლების ეროტიკულ რეკლამაში მიიღო მონაწილეობა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი გამოცემა ავრცელებს.

აღნიშნული კამპანია 44 წლის კლუმის საკუთარი პროდუქციის ლეიბლს ეძღვნება. მოდელმა საკუთარი სახელის ბრენდი 2015 წელს ჩაუშვა და მას ზურგს ვიქტორია სეკრეტთან თანამშრომლობა უმაგრებდა.

სარეკლამო გადაღებებით ფოტოგრაფი ფრანჩესკო კაროცინი, ჟურნალ ვოგის ყოფილი რედაქტორის ფრანკი სოცანოს შვილი იყო დაკავებული.

ჰაიდი კლუმის თქმით, ის მუდმივ ძიებაშია. მაგალითად, დასვენების დროს ყურადღებას აქცევს გარშემომყოფთა ტანსაცმლის ფერების „უცნაურ“ შეხამებას, რაიმე საინტერესოს ნახულობს პატარა ჟურნალებში ან მეორადი საქონლის ბაზრობაზე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 4. სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში; 5. გეომეტრიული სხეული; 6. „მეფე ლომის“ ლეკვი; 7. ჭეშმარიტი თეორემა; 8. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი; 10. იგავ-...; 13. რისამე სრულყოფის განსახიერება; 15. ზღვრული ნორმა; 16. გამარჯვების ქალღმერთი; 17. „ასწიე!“ პორტის მუშების მეტყველებაში; 20. მიწათმფლობელი შოტლანდიაში; 21. ჯიხური; 22. ლიტერატურული ნაწილის შესავალი ნაწილი; 23. ციტრუსი.

**შვეულად:** 1. სატირული ხასიათის მიბაძვა; 2. მძაფრი სუნის თეთრი კრისტალური ნივთიერება; 3. „მძიმე ბენზინი“; 4. უდაბნოს ეკლებიანი მცენარე; 5. ქლოროფორმის სუნის მქონე უფერული სითხე; 9. ზანდუკი; 11. საცხენოსნო სპორტში შეჯიბრება დაბრკოლებების გადალახვით; 12. ოთახის მარადმწვანე მცენარე; 14. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 18. პროვინცია ჩინეთში; 19. ცურვის სპორტული სტილი.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**